F200б

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
9 მარტი
1940 წ.
№ 56 (5757)
ფასი 10 კაპ.

დღეს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის დაბადების 50 წლისთავია

მხურვალე ბოლშევიკური სალამი მძლავრი საბჭოთა მთავრობის სახელოვან მეთაურს

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს!



მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაური

მძლავრი საბჭოთა მთავრობის სახელოვან მეთაურს, დიდი სტალინის უერთგულეს თანამებრძოლს, ბოლშევიკების პარტიის გამოჩენილ მოღვაწეს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს დღეს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

მთელი ჩვენი პარტია, საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხი ღრმა პატივისცემით, უზომო სიყვარულითა და ზეიმით აღნიშნავს ამ შესანიშნავი ადამიანის 50 წლისთავს.

ლენინ-სტალინის ტიპის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ამხანაგ მოლოტოვის ნათელი და მომხიბლავი ცხოვრება მთლიანად დაკავშირებულია ბოლშევიკების პარტიის გმირულ წარსულთან. ამხანაგ მოლოტოვის ცხოვრების გზა — ეს არის რევოლუციის დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის მეთაურობით კომუნიზმის საქმისათვის გმირული და თავდადებული ბრძოლის სახელოვანი წლები.

მეტად შესანიშნავი და მრავალფეროვანია ამხანაგ მოლოტოვის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა. ამხანაგმა მოლოტოვმა თავისი პირველი რევოლუციური ნათლობა მიიღო ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში. 15 წლის ჭაბუკი ის გატაცებით შეუდგა მარქსიზმის შესწავლას და სათავეში ჩაუდგა რევოლუციურად განწყობილ მოსწავლე ახალგაზრდობას. ყაზანის რეალურ სასწავლებელში და გიმნაზიაში ამხანაგი მოლოტოვი აყალიბებდა რევოლუციურ წრეებს, სწერდა პროკლამაციებს და აწყობდა მუშათა მასებში ბოლშევიკური იდეების პროპაგანდას. ამხანაგ მოლოტოვის ადრინდელი რევოლუციური მუშაობა როდი შემოიფარგლებოდა მარტო ყაზანით, ის ამყარებს კავშირს სხვა ქალაქების მოსწავლე ახალგაზრდების რევოლუციურ ორგანიზაციებთან. ცარიზმის ოხრანკას არ გამოეპარა ამხანაგ მოლოტოვის მუშაობა. 1909 წელს მას რევოლუციური მუშაობისათვის აპატიმრებენ და 2 წლით ასახლებენ ვოლოგდის გუბერნიაში. მაგრამ ვერც გადასახლებამ და ვერც საშინელმა რეპრესიებმა ვერ გასტეხეს ამ შეუდრეკელი ბოლშევიკის ნებისყოფა. რეაქციის წლებში ამხანაგი მოლოტოვი მცირეოდენ ლეგალურ შესაძლებლობებსაც კი იყენებდა რევოლუციური ძალების დასარაზმავად ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ. ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლებაში მყოფი ამხანაგი მოლოტოვი კვლავ აქტიურ მუშაობას ეწევა რკინიგზელ მუშებს შორის. აქტიურ პარტიულ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ მუშაობასთან ერთად ის გულმოდგინედ მუშაობს მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების შესწავლაზე. მეფის ოხრანკის დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე სკრიაბინი (მოლოტოვი) „გამოირჩევა ს. დ. პროგრამისა და ლიტერატურის ცოდნით“ და რომ იგი „სერიოზული ორგანიზატორია“.

შემდგომ წლებში პოლიტიკურად უკვე ღრმად მომზადებული ამხანაგი მოლოტოვი ენერგიულად მუშაობს ბოლშევიკურ გაზეთებში—ჯერ გაზეთ „ზვეზდაში“, ხოლო შემდეგ —„პრავდაში“. „პრავდაში“ შეხვდა იგი ამხანაგ სტალინს, აქედან დაამყარა მან უდიდესი მეგობრობა დიდ სტალინთან, აქედან აწარმოებდა იგი მიმოწერას საზღვარგარეთულ ბოლშევიკურ ცენტრთან—ვ. ი. ლენინთან.

რევოლუციის აღმავლობისა და იმპერიალისტური ომის წლებში ამხანაგი მოლოტოვი, მიუხედავად მთელ რიგ გადასახლებისა, დევნისა და შევიწროებისა, კვლავ დაუღალავად ეწევა პარტიულ მუშაობას. იგი ბოლშევიკური შეურიგებლობით აშკარავებდა იმპერიალისტური ომის მძარცველურ ხასიათს, დაუნდობლად ამხელდა კონტრრევოლუციური პარტიების მოღალატურ და გამცემლურ როლს და მტკიცედ ატარებდა ლენინ-სტალინის ხაზს.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის აბობოქრებულ დღეებში ამხანაგი მოლოტოვი ლენინთან და სტალინთან ერთად ხელმძღვანელობს პეტროგრადის ბოლშევიკებს. იგი სამხედრო რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაშია და გვევლინება, როგორც შეიარაღებული აჯანყების ერთერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი ეწევა მრავალფეროვან სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ მუშაობას.

ამხანაგ მოლოტოვს მთელი ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს, როგორც დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს და უერთგულეს მეგობარს. ჩვენი პარტია ამაყობს ამ გამოჩენილი მოღვაწით, რომელიც თავის პიროვნებაში სრულყოფილად ანსახიერებს ბოლშევიკების პარტიის კეთილშობილურ თვისებებს, იმ ადამიანის თვისებებს, რომელიც ნამდვილად ლენინ-სტალინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწეა.

მეათე წელია, რაც ამხანაგი მოლოტოვი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის საპატიო პოსტზე მუშაობს. მეათე წელია, რაც ის მეთაურობს სოციალიზმის ქვეყნის მძლავრ საბჭოთა მთავრობას. ჩვენი ქვეყანა კარგად იცნობს ამხანაგ მოლოტოვის დამსახურებას სოციალიზმის ბრწყინვალედ გამარჯვების საქმეში. ვ. მ. მოლოტოვის სახელთან არის დაკავშირებული სოციალიზმის ქვეყნის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა: სტალინურ ხუთწლედების გეგმის დამუშავება და მათი განხორციელება, ისტორიული ძვრები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მოკავშირე რესპუბლიკების აყვავება და მათ შორის ურღვევი სტალინური მეგობრობის დამყარება, ჩვენი სახელოვანი მუშურ - გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ტექნიკური შეიარაღება და მისი უძლეველობა.

ჩვენი პარტია, ჩვენი ქვეყანა ამხანაგ მოლოტოვს იცნობს არა მარტო როგორც უაღრესად თვალსაჩინო სახელმწიფოებრივ - პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ როგორც ბოლშევიკების პარტიის უდიდეს თეორეტიკოსსაც, როგორც ადამიანს, რომელიც კლასიკური სიღრმით ფლობს მარქსიზმის ფილოსოფიას, აღჭურვილია ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ღრმა ცოდნით, ადამიანს, რომელსაც გააჩნია მარქსისტული წინასწარ განჭვრეტის უდიდესი უნარი, ადამიანს, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი ხალხი და სტალინურად ზრუნავს კადრებზე.

ამხანაგ მოლოტოვის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი, სტალინური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბრწყინვალე გამარჯვებები. ამხანაგ მოლოტოვის სახელთან არის დაკავშირებული ბრძნული სტალინური საერთაშორისო პოლიტიკის ახალი ისტორიული გამარჯვებები, რომელთაც უზრუნველჰყვეს უაღრესად გართულებულ საერთაშორისო ვითარების პირობებში სოციალისტური სამშობლოს სიძლიერე და უძლეველობა.

საბჭოთა მრავალმილიონიან ხალხს უსაზღვროდ უყვარს ამხანაგი მოლოტოვი. ეს მხურვალე სიყვარული ხალხმა გამოხატა იმით, რომ იგი უმაგალითო ერთსულოვნებით იქნა არჩეული სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოების დეპუტატად.

ქართველი ხალხი ღრმა პატივისცემით და სიხარულით აღნიშნავს დიდი სტალინის ღირსეული თანამებრძოლის დაბადების 50 წლისთავს. ქართველი ხალხი თავისი გამარჯვებებისათვის უმადლის დიდ რუს ხალხს და მის დიად შვილს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძეს იმ განსაკუთრებული მზრუნველობისათვის, რომელსაც იგი იჩენს ორდენოსანი საქართველოს ხალხისადმი.

ქართველი ხალხის გულში ღრმად აღბეჭდილია ამხანაგ მოლოტოვის სიტყვები, წარმოთქმული 1936 წელს კრემლში, საქართველოს დელეგაციის მიღების დროს:

„საქართველო — ეს მსოფლიოს ერთერთი უბედნიერესი კუთხეა, უხვად დაჯილდოვებული ბუნებრივი სიმდიდრეებით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იგი მდიდარია ისეთი ადამიანებით, რომელთა ნიჭიც ბრწყინავს საქართველოში, ამიერ-კავკასიაში და მთელ საბჭოთა კავშირში.

ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირსაც, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს. საკმარისია ითქვას, რომ საქართველომ ჩვენ მოგვცა ამხანაგი **სტალინი**“.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით დიადი რუსი ხალხის მხარდაჭერით მოიპოვა ქართველმა ხალხმა თავისუფლება, დიადი რუსი ხალხის დახმარებით და დიდი სტალინის სისტემატური მზრუნველობით ორდენოსანი საქართველო, რომელსაც რამოდენიმე წლის განმავლობაში მეთაურობდა ამხ. **ლ. პ. ბერია**, გადაიქცა საბჭოთა კავშირის ულამაზეს და აყვავებულ კუთხედ და ამ საქმეშიაც ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს**.

ჩვენი გულითადი სალამი დიად რუს ხალხს და მის დიად შვილს, მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**!

ბრძანებულება

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციისა და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი მისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 8 მარტი.

ბრძანებულება

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქალაქ პერმისათვის ქალაქ მოლოტოვისა და პერმის ოლქისათვის მოლოტოვის ოლქის დარქმევის შესახებ

ქალაქ პერმის და პერმის ოლქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოთქმული სურვილების დასაკმაყოფილებლად, ქალაქ პერმს დაერქვას ქალაქი **მოლოტოვი** და პერმის ოლქს — **მოლოტოვის ოლქი**.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 8 მარტი.

ძვირფასო ამხანაგო მოლოტოვ!

თქვენი დაბადების ორმოცდაათ წლისთავზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გულმხურვალედ მოგესალმებათ თქვენ—კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილს, მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის სახელოვან ხელმძღვანელს, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის საქმისათვის დაუღალავ მებრძოლს.

თქვენ, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის აღზრდილმა, თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავისათვის სახელოვანი გზა განვლეთ. მუშაობდით რა ბოლშევიკური ორგანიზაციის რიგებში ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, თქვენ მუდამ გამოდიოდით როგორც მედგარი მებრძოლი თანმიმდევრული რევოლუციური ლენინური ხაზისათვის. სტოლიპინის რეაქციის შავბნელმა წლებმა, არაერთგზის დაპატიმრებამ და გადასახლებამ ვერ შეარყიეს თქვენი სიმტკიცე, მამაცობა და რევოლუციური თავდადება ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1917 წლის ოქტომბრის დღეებში თქვენ, როგორც ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, იმყოფებოდით იმ შტაბში, რომელიც ხელმძღვანელობდა იერიშს კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ, და იყავით მუშათა და გლეხთა ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების ერთერთი ორგანიზატორი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თქვენ მუშაობდით სახელმწიფო და პარტიული მშენებლობის პასუხსაგებ უბნებზე, რაზმავდით მშრომელებს საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

შემდგომ წლებში—კაპიტალისტური გარემოცვის აგენტურის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის წლებში—პროლეტარები, მშრომელები გიცნობენ თქვენ, როგორც დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, როგორც ურყევ ხელმძღვანელს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

თქვენი შეურიგებლობა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარი დამახინჯებისადმი, განუხრელი თანმიმდევრობა პარტიის გენერალური ხაზის გატარებაში, ულმობელობა პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მუდამ იქნება ლენინურ-სტალინური პარტიულობის მაგალითი.

თქვენს სახელმწიფო მუშაობაში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე თქვენ ხართ ლენინურ-სტალინური ეპოქის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ბრწყინვალე შეხამების ნიმუში.

თქვენი პრაქტიკული ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა სტალინური ხუთწლედები, ჩაღდებოდა გრანდიოზული მუშაობა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად.

საერთაშორისო ურთიერთობის განსაკუთრებული გართულების, გაჩაღებული მეორე იმპერიალისტური ომის პირობებში თქვენ დაკისრებული გაქვთ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უშუალო ხელმძღვანელობა. ამ ამოცანებს თქვენ წარმატებით სწყვეტთ სსრ კავშირის უშიშროებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აღნიშნავს რა თქვენს უდიდეს დამსახურებას სოციალისტური სამშობლოს წინაშე, გულმხურვალედ გისურვებთ კიდევ მრავალ და მრავალ წელს იცოცხლოთ და იმუშაოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

თქვენი სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავზე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ—**ლენინისა** და **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლსა და მეგობარს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების ისტორიულ დღეებში თქვენ, **ლენინისა** და **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით, შეურიგებლად ებრძოდით რა სოციალიზმის მტრებს, სჭედდით პროლეტარიატის გამარჯვებას.

თქვენ პარტიის ისტორიის ყველა ეტაპზე განუხრელად იცავდით ლენინურ-სტალინურ ხაზს იმპერიალიზმის ტროცკისტ-ბუხარინელ დაქირავებულ აგენტებთან ბრძოლაში, დაუნდობლად ამჟღავნებდით რა ხალხის მტრებს, ახორციელებდით რა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ—სტალინურ პოლიტიკას.

ქართველი ხალხი, რომელმაც ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით თავისი ცხოვრების აყვავებას მიაღწია, თქვენში ხედავს თავის ერთგულს, გულისხმიერსა და გულშემატკივარ მეგობარს.

საბჭოთა საქართველო სოციალისტური მშენებლობის წარმატებებისათვის დიდად უნდა უმადლოდეს თქვენს ყურადღებას, მუდმივს დახმარებასა და ზრუნვას.

საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, უდიდესი მადლიერებით, მხურვალე პატივისცემის გრძნობით აღნიშნავენ რა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის მეთაურის დაბადების სახელოვან ორმოცდაათი წლისთავს, გისურვებენ თქვენ ხანგრძლივ სიცოცხლეს მთელი საბჭოთა ხალხის სასიხარულოდ.

გაუმარჯოს სოციალიზმის ქვეყნის ძლიერ მთავრობას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას, მის დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს**!

გაუმარჯოს დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს**!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს— ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმება შენ, ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელს — შენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე.

მთელს შენს შეგნებულ სიცოცხლეში შენ განუწყვეტლივ ემსახურები მუშათა კლასის საქმეს, კომუნიზმის საქმეს, როგორც ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე და ბელადი. რეაქციის შავბნელ წლებში 1905-1907 წ. წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში, „ზვეზდის“ და „პრავდის“ ეპოქაში, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ქარცეცხლში — შენ მუდამ მაღლა გეჭირა ბოლშევიზმის დროშა და დაუღალავად იბრძოდი პროლეტარიატის დიქტატურისათვის ჩვენს ქვეყანაში. როგორც პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრმა შენ დიდი რევოლუციურ-ბოლშევიკური მუშაობა გასწიე 1917 წლის ოქტომბერში. შენი მუშაობით, როგორც დონბასის, უკრაინის, მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელმა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, შენი მრავალი წლის სახელოვანი მუშაობით საბჭოთა მთავრობის მეთაურის პოსტზე პარტიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა მხურვალე სიყვარული და უდიდესი პატივისცემა დაიმსახურე.

როგორც ბოლშევიკური პარტიის ერთერთი უაღრესად გამოჩენილი ბელადი, როგორც სოციალისტური ეკონომიკისა და ახალი, კომუნისტური კულტურის უდიდესი ორგანიზატორი, შენ ანსახიერებ ლენინურ-სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწის საუკეთესო თვისებებს. შენ მუდამ ეწეოდი და ეწევი თანმიმდევრობით ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისათვის, მტკიცედ იცავდი და იცავ რა პარტიის ხაზს პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტერთაგან, ტროცკისტთაგან, ზინოვიეველთაგან, ბუხარინელთა და ბურჟუაზიის სხვა აგენტებისაგან.

შენს ენერგიას, შენს დაუღალავ მუშაობას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე სოციალიზმის ქვეყანა დიდად უნდა უმადლოდეს თავისი წარმატებებისა და გამარჯვებებისათვის. სიტყვიერსა და ბეჭდვითს გამოსვლებში პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე შენ განაზოგადებ კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად გაწეული დიდი მუშაობის გიგანტურ გამოცდილებას.

სულითა და გულით გისურვებთ შენ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო, დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და შემდგომს ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი პარტიის საკეთილდღეოდ, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს— ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს

თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ და გულმხურვალედ გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნედ ყოფნას მრავალი და მრავალი წლის განმავლობაში.

თქვენი სახით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მიესალმება ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწეს, რომელიც ახამებს მტრებისადმი ბოლშევიკურ შეურიგებლობასა და თავისი ხალხის, თავისი პარტიის საქმისადმი ურღმეს ერთგულებას.

მთელი თქვენი შეგნებული სიცოცხლე, ახალგაზრდობიდან მოკიდებული, თქვენ მუშათა კლასის განთავისუფლებისა და სოციალიზმის გამარჯვების საქმეს მოახმარეთ. ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, მაღლა გეჭირათ რა ლენინის პარტიის დროშა, თქვენ დაუღალავად იბრძოდით ცარიზმის დასამხობად, რევოლუციის გამარჯვებისათვის. თქვენ უდიდესი მუშაობა გასწიეთ ჩვენი პარტიის მშენებლობისათვის, როგორც რევოლუციამდე, ისე პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგაც. თქვენ როგორც პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი ოქტომბრის რევოლუციის დღეებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის იბრძოდით. სოციალისტური რევოლუციის მთელი წლების განმავლობაში, როგორც პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელს, ლენინიზმის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის მტერთა მოსპობისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე მთელი პრინციპული თანმიმდევრობით მიგქონდათ თქვენ ლენინ-სტალინის პარტიის საბრძოლო დროშა.

თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავი დაემთხვა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე თქვენი ყოფნის ათი წლისთავს. ეს ათეული წელი აღსავსეა შესანიშნავი ამბებით როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს შინაურ ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობაში.

ამ 10 წლის განმავლობაში საბჭოთა ქვეყანამ ჩვენი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბრწყინვალე გამარჯვებანი მოიპოვა სოციალიზმისათვის ბრძოლის ყველა უბანზე. ამ წელთა განმავლობაში სსრ კავშირში გაიმარჯვა და განხორციელდა სოციალიზმის დიადი პრინციპები. მთელი ამ წლების განმავლობაში თქვენ იყავით და ხართ ამხანაგ **სტალინის** უახლოესი თანაშემწე სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების საქმეში, საბჭოთა სოციალისტური მეურნეობის, ახალი სოციალისტური საზოგადოების, მუშათა და გლეხთა ახალი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზების საქმეში.

თქვენს ყოველდღიურ სახელმწიფოებრივ მუშაობაში საბჭოთა მთავრობის მეთაურის პოსტზე თქვენ გვიჩვენებთ პარტიის მითითებათა და დირექტივათა განხორციელების ნიმუშს, ზრდით რა სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელებსა და ყველა მუშაკებში ლენინ-სტალინის საქმისადმი უდიდეს ერთგულებას, პასუხისმგებლობის გრძნობას და თავისი პარტიული და სახელმწიფოებრივი მოვალეობის შეგნებას მუშაობაში.

თქვენს მუშაობაში, რომელსაც ეწეოდით და ეწევით სახალხო მეურნეობის ორგანიზებისათვის, ხუთწლიანი გეგმების დამუშავებისა და განხორციელებისათვის, სოციალისტური კულტურის აღმავლობისათვის, თქვენ მუდამ და განუწყვეტლივ გვიჩვენებთ და გვასწავლით თუ როგორ უნდა ამ საკითხთა გადაწყვეტა ბოლშევიკურად, სტალინურად.

როგორც გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწე, თქვენ დაუღალავად მუშაობთ საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, განუხრელად ამხილებთ რა ხალხის მტერთა ცდებს—მოშალონ და ძირი გამოუთხარონ საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატის ძლიერებას.

როგორც საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის გამოჩენილი ორგანიზატორი, თქვენ მთელს ძალღონეს ანდომებთ საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერების განმტკიცებას, ჩვენი სამშობლოს მშრომელთა კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის საქმეს, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთა დარაზმვას საბჭოთა ხელისუფლებისა და ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, თქვენ ხართ ერთგული და თანმიმდევრობითი გამტარებელი საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ-სტალინური საგარეო პოლიტიკისა, იბრძვით რა მშვიდობიანობის საქმის გამარჯვებისათვის საერთაშორისო ურთიერთობაში და განუხრელად ახორციელებთ რა ზრუნვას ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის, ჩვენი უძლეველი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერებისა და დიდების განმტკიცებისათვის.

თქვენი სახით ჩვენ მივესალმებით საბჭოთა მთავრობის მეთაურს, ჩვენი დიდი მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ **სტალინის** მეგობარსა და თანაშემწეს.

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას!

გაუმარჯოს სოციალისტური სახელმწიფოს ბელადს—დიდ **სტალინს**!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს**!

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

8 მარტის განმავლობაში ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა. ვიბორგის ყურეში ჩვენი ჯარის ნაწილებმა დაიკავეს კუნძული **ესი-საარი** დაბა **ესისაარითურთ**, კუნძული **კატილან-საარი** დაბა **რაჭკასაარითურთ**, კუნძული **ტერვა-საარი**, კუნძული **მუსტა-საარი**, კუნძული **ჰიეტასაარი** დაბითურთ.

ჩვენი ჯარის ნაწილებმა ხელთ იგდეს 12 ქვემეხი, 57 ტყვიამფრქვევი, 2 მილიონი ვაზნა.

ჩვენი ავიაცია აქტიურად მოქმედებდა მტრის ჯარების წინააღმდეგ, ამასთან ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

თბილისის XVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, **ლენინის** ერთგულ მოწაფეს, დიდი **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლს.

მთელ თქვენს ცხოვრებას, **ლენინ-სტალინის** პარტიასთან განუყრელად დაკავშირებულს, თქვენ სწირავთ კომუნიზმისათვის ბრძოლის დიად საქმეს, განუხრელად იბრძვით რა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის იდეათა განხორციელებისათვის, პარტიული რიგების ერთიანობისა, მონოლიტურობისა და დარაზმულობისათვის.

შეურიგებლად იცავდით რა პარტიას მტრების გაიძვერაობისაგან, თქვენ იყავით ამხანაგ **სტალინის** უახლოესი თანაშემწე ტროცკისტთა, ბუხარინელთა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ბანდების განადგურებისათვის ბრძოლაში.

ბოლშევიკთა პარტიის რიგებში ლენინ-სტალინის საქმისათვის 35 წლის რევოლუციურმა ბრძოლამ, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის 10 წლის ხელმძღვანელობამ, სტალინური საგარეო პოლიტიკის განხორციელების ხელმძღვანელობამ, — თქვენ მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მგზნებარე სიყვარული მოგიპოვათ.

თბილისისა და საქართველოს ბოლშევიკები და ყველა მშრომელნი, რომელნიც თავიანთ პრაქტიკულ სამეურნეო - პოლიტიკურ მუშაობაში ყოველდღიურად გრძნობენ თქვენს უდიდეს ყურადღებასა და ზრუნვას, მხურვალე მადლობის, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით აღსავსე სიტყვებით მოგმართავენ თქვენ, დიდი რუსი ხალხის ერთგულ შვილს.

რუსი მუშებისა და გლეხების და გმირი წითელი არმიის ძმური დახმარებით საქართველოს მშრომელებმა 19 წლის წინათ მოიშორეს მენშევიკების უღელი და ახალი სასიხარულო და ბედნიერი ცხოვრება მოიპოვეს ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით, იმ პოლიტიკისა, რომლის განუხრელ განხორციელებასაც თქვენ ანდომებთ თქვენს ძალღონეს.

თბილისელი ბოლშევიკები, მოგესალმებიან რა თქვენი დაბადების სახელოვანი ორმოცდაათი წლისთავზე, ვალდებულებას კისრულობენ ახალი ენერგიით იბრძოლონ ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს შემდგომი აყვავებისათვის, საქართველოსი, რომელიც თავისი წარმატებებისათვის ბევრ რამეში თქვენს დახმარებასა და ყურადღებას უნდა უმადლოდეს.

იცოცხლეთ მრავალ წელს, ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა სასიხარულოდ!

გაუმარჯოს ძლიერი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას და მის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს ძლიერი საბჭოთა მთავრობის მეთაურს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მოღვაწეს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, სსრ კავშირის ძლიერი მთავრობის მეთაურს.

მთელი თქვენი შესანიშნავი ცხოვრება არის მუშათა კლასისა და მშრომელი ხალხის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე ლენინელ-სტალინელის ბრძოლის გმირული გზა.

დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები, შეკავშირებულნი სტალინური მეგობრობით, ღრმა პატივისცემითა და უსაზღვრო მადლიერებით აღნიშნავენ თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობას და უდიდეს დამსახურებას გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მოძმე რესპუბლიკათა სამეურნეო და კულტურული აყვავების საქმეში.

განსაკუთრებით რთულ საერთაშორისო ვითარებაში, ასრულებთ რა ბოლშევიკების პარტიის და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ნება-სურვილს, თქვენ ახორციელებთ საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას, ხდით რა ნიღაბს იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთ.

სოციალისტური საქართველოს მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის სახელით საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭო გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ხალხთა სასიხარულოდ.

გაუმარჯოს ძლიერი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს!**

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას, ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ქვეყნის გენიალურ მესაჭეს — ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭო

თბილისის XVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია

8 მარტის დილის და საღამოს სხდომათა დღიური

8 მარტის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხ. **მ. ჩუბინიძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი, **ს. ქუთათელაძე** — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პარტბიუროს მდივანი, **ტ. ბერიანი** — „ცენტროლიტის“ ქარხნის დირექტორი, **კ. ჩაგუნავა** — ამიერკავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსი, **გ. ცქიტიშვილი** — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი, **გ. რობაქიძე** — ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი, **ი. ვლოვენკო** (წითელი არმია), **მ. ბალავაძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამრეწველო განყოფილების გამგე, **ვ. სალაძე** — თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, **გ. ფირუმოვა** — № 2 სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი, **პ. კილასონია** — საზოგადოებრივი კვების ტრესტის დირექტორი, **გ. გოჩაშვილი** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი, **დ. ყიფშიძე** — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, **ხ. ალიხანოვი** — № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი, **შ. ბერეკაშვილი** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი), **ა. ოდიშარია** — ქ. თბილისის სამხედრო კომისარი, **ს. კაკაბაძე** (სამხატვრო აკადემია), **ნ. ორჯონიკიძე** — კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორი, **ვ. ხიხარულიძე** — 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი, **ე. ბურჯულაძე** (თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი), **ა. ხარუხანოვი** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი), **მ. კუჭავა** — თბილისის სტალინის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანი, **დ. ევდოკიმოვი** (წითელი არმია), **ქ. ბუნიატოვი** — სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის სტახანოველი, **ა. ჩიტაური** — სტუდენტთა ქალაქის პარტბიუროს მდივანი, **ა. კვაჭაძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი.

○

კონფერენციის 8 მარტის საღამოს სხდომაზე კამათში გამოვიდნენ ამხ. **პ. მჭედლიძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი, **ც. კანზაველი** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი), **ვ. შავგულიძე** (სარეწაო საბჭო), **შ. სვანიშვილი** — მაუდის ფაბრიკის სტახანოველი, **გ. ლუარსაბოვი** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომის მდივანი, **ნ. მესხი** — ზოოვეტინსტიტუტის დირექტორი, **ა. რინენბერგი** — თბილვაჭრობის დირექტორი, **ნ. გალუსტოვი** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი, **ი. კოვლამაზაშვილი** — თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ი. ტიულენევი** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, **ე. მაზანაშვილი** — ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და **ე. ჩერქეზია** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი.

კამათში ჩაწერილი 60 კაციდან გამოვიდა 38. კამათი შესწყდა.

კონფერენცია იღებს გადაწყვეტილებას: **საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პოლიტიკური ხაზი ჩაითვალოს სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.**

პრაქტიკულ წინადადებათა დასამუშავებლად კონფერენციამ გამოჰყო კომისია 19 ამხანაგის შემადგენლობით.

შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში კონფერენცია იღებს წინადადებას მისალმება გაეგზავნოს **ლენინის** ერთგულ მოწაფეს, **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლს — **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს.**

კონფერენცია მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მთავრობის მეთაურს **ვ. მ. მოლოტოვს** მისი დაბადებიდან 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით. მისალმების ტექსტის კითხვა არაერთხელ იქნა შეწყვეტილი ხანგრძლივი ტაშით.

მქუხარე ოვაციით და შეძახილებით „გაუმარჯოს ამხანაგ **ბერიას!**“ კონფერენცია იღებს მისალმებას ქართველი ხალხის საყვარელი შვილის, დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი.**

კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება **(ამხ. ბ. ლელიძე).**

დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის სახელით ამხ. მ. ჩუბინიძეს შეაქვს წინადადება არჩეულ იქნას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი 61 კაცის შემადგენლობით.

ამის შემდეგ ქვეყნდება დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის წინადადება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის წევრობის კანდიდატთა პერსონალური შემადგენლობის შესახებ ფარული კენჭისყრისათვის.

მქუხარე ოვაციით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის შემადგენლობაში და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობის დელეგატთა შემადგენლობაში კენჭისსაყრელად კონფერენცია პირველ კანდიდატად ასახელებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს.**

კონფერენცია თბილისის კომიტეტის პლენუმის წევრობაზე კენჭისსაყრელად ასახელებს დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** კანდიდატურას, რასაც დარბაზი ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

კონფერენციის დელეგატები ტაშის გრიალში იღებენ წინადადებას საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატობაზე კენჭისსაყრელად დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლთა — ამხანაგების **ვ. მ. მოლოტოვის** და **ლ. პ. ბერიას** კანდიდატურათა დასახელების შესახებ.

ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი

(სურათი გადაღებულია 1939 წ.)

მოსკოვი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

თბილისის XVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ — დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს.

თვალს ვავლებთ რა განვლილ გზას, ჩვენ ვაჯამებთ იმ უდიდეს წარმატებათა შედეგებს, რომლებიც მოპოვებული გვაქვს სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში და რომლებისთვისაც საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) და მისი მოწინავე რაზმი — თბილისის ორგანიზაცია — უნდა გიმადლოდეთ თქვენ, რომელმაც აღგვზარდეთ **ლენინ-სტალინის** საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

მიჰყვებიან რა ხელმძღვანელობისა და ოპერატიული მუშაობის სტალინური სტილის ბრწყინვალე მაგალითებს, სტილისა, რომლის ნიმუშების მიხედვითაც თქვენ მთელი რიგი წლების განმავლობაში მტკიცედ ზრდიდით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, თბილისელი ბოლშევიკები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ, აწინაურებენ რა ხელმძღვანელ სამუშაოზე მოწინავე, შემოწმებულ ადამიანებს, იბრძვიან რა პარტიული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის, საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის თბილისის სოციალისტური კეთილმოწყობისათვის, თბილისისა, რომლის რეკონსტრუქციის საქმეშიც თქვენ ესოდენი ენერგია, შეუპოვრობა და ზრუნვა გამოიჩინეთ.

მუშაობის სტალინურმა სკოლამ, რომელიც თბილისელმა ბოლშევიკებმა თქვენი ხელმძღვანელობით გაიარეს, გამოაწრთო ისინი სოციალიზმის ყველა მტერთან ბრძოლაში, ასწავლა მათ სტალინურად, შეურიგებლად გაანადგურონ და დაუნდობლად აღმოფხვრან კონტრრევოლუციური ნაბოლარები, მალე გამოიცნონ მტრის ყოველივე ხრიკები და ნიღაბი ჩამოგლიჯონ მას.

თქვენმა შრომამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ დიდ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკური ცხოვრება.

ვეუფლებით რა ბოლშევიზმს, ღრმად ვსწავლობთ რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სტალინურ სახელმძღვანელოს, ჩვენ ვისხამთ იარაღს, რათა ახალ-ახალი ბრძოლა ვაწარმოოთ კომუნიზმის საქმისათვის.

თბილისელი ბოლშევიკები, მთელ თავიანთ მუშაობაში უწევენ რა ანგარიშს საერთაშორისო ვითარების დაძაბულობას, კისრულობენ ვალდებულებას კიდევ უფრო აამაღლონ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის ხარისხი, რათა დიდი **სტალინის** პირველი მოწოდებისთანავე იარაღი აისხან და მტრის ხელყოფისაგან დაიცვან ჩვენი დიადი სოციალიზმის ქვეყანა მისი თვალუწვდენელი საზღვრების ყოველ უბანზე.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, უზრუნველჰყოფენ რა ლენინის ქალაქის უშიშროებას, თავისუფლებას მიაქვთ რა ფინელი ხალხისათვის, — ანადგურებენ პირსისხლიანი ჯალათების — მანერჰაიმებისა და ტანერების ბანდას, — და შორს აღარ არის ის ჟამი, როდესაც ფინეთის მუშები და მშრომელი გლეხობა სამუდამოდ მოიშორებენ ზურგიდან ინგლისელ და ფრანგ ომის გამჩაღებელთა ამ დაქირავებულ აგენტებს.

თბილისელი ბოლშევიკები, რომელნიც შეიკრიბნენ თავიანთ საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, ამოწმებენ რა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ მითითებათა შესრულებას, თვითკრიტიკის საფუძველზე დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მთელი თავიანთი პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას და მის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა დაზვერვას და მის სტალინურ სახალხო კომისარს ამხანაგ ლავრენტი ბერიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!

ვ. მ. მოლოტოვის ნაწარმოებთა 74,6 მილიონი ცალი

ვ. მ. მოლოტოვის ნაწარმოებნი ფართოდ არის გავრცელებული საბჭოთა კავშირში. სრულიად-საკავშირო წიგნის პალატის ცნობებით, ვ. მ. მოლოტოვის წერილები, მოხსენებანი და სიტყვები 1919 წლიდან 1940 წლის 15 თებერვლამდე სსრ კავშირში გამოცემულია 74,6 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. ამას გარდა, ამხანაგ მოლოტოვის ნაწერები სხვა ავტორებთან ერთად გამოცემულია 7,1 მილიონი ცალის რაოდენობით.

ვ. მ. მოლოტოვის ნაწარმოებნი გამოცემულია სსრ კავშირში 74 ენაზე. რუსულად მოლოტოვის ნაწერები გამოვიდა 65,5 მილიონ ცალად, უკრაინულად — 3,38 მილიონ ცალად, ასიათასი ცალობით გავრცელდა მოლოტოვის ნაწერები საბჭოთა კავშირში ბელორუსულ, აზერბაიჯანულ, ქართულ, სომხურ, თურქმენულ, უზბეკურ, ტაჯიკურ, ყაზახურ, ყირგიზულ, თათრულ, ჩუვაშურ, მორდოვულ და სხვა ენებზე.

ამხანაგ მოლოტოვის ნაწერები გამოცემულია აგრეთვე სსრ კავშირის იმ ხალხთა ენაზე, რომელთაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე არ ჰქონდათ თავიანთი დამწერლობა. მოლოტოვის ნაწერები გამოვიდა მრავალ უცხო ენაზე — გერმანულ, ინგლისურ, ბულგარულ, ჩინურ, ესპანურ, ლატიშურ, ლიტვურ, ფრანგულ, ესტონურ, იაპონურ და სხვა ენებზე.

(საკდესი).

ს. კაფტანოვი

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

ვ. მ. მოლოტოვი და საბჭოთა ინტელიგენცია

მშრომელი ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებით და სიყვარულით არის გამსჭვალული ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მთელი მუშაობა და ცხოვრება.

ამხანაგ სტალინის თანამებრძოლი, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი წარმოადგენს პარტიის ლენინურ-სტალინური ხაზისათვის მგზნებარე მებრძოლს, ბოლშევიკური პარტიის თეორიის, ტაქტიკისა და მშენებლობის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის დამუშავების უშუალო მონაწილეს და მათი ცხოვრებაში განხორციელების უდიდეს ორგანიზატორს.

ამხანაგი მოლოტოვი ყოველთვის განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს კულტურული რევოლუციის გაღრმავებას და გაფართოებას ჩვენს ქვეყანაში, მეცნიერების განვითარებას და საბჭოთა სპეციალისტების კადრთა მომზადებას. სოციალიზმის შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან, აღნიშნავს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ კადრებს, რომლებიც დაეუფლნენ ტექნიკას, რომელთაც შესწევთ უნარი აამაღლონ შრომის ნაყოფიერება და წასწიონ წინ მოწინავე საბჭოთა მეცნიერება.

საბჭოთა მეცნიერული საზოგადოებრიობა ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვში ჰხედავს თავის უშუალო ხელმძღვანელს, რომელიც ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენს საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრების მიმართ. ჩვენი ქვეყნის უდიდესმა მეცნიერებმა საუცხოოდ იციან ის ფრიად დიდი მუშაობა, რომელიც ჩაატარა ვიაჩესლავ მიხეილის-ძემ მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაციისათვის — მეცნიერული ძალების მრეწველობასთან, სოფლის მეურნეობასთან დაახლოებისათვის, მესამე ხუთწლედში ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელს გეგმიან განვითარებასთან მეცნიერთა შემოქმედებითი მუშაობის საქმიანი დაკავშირებისათვის.

მიუხედავად უკიდურესი დატვირთვისა, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე ცხოველად არის დაინტერესებული ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარებით და უშუალოდ ხელმძღვანელობს მის განვითარებას.

მისთვის ჩვეული უბრალოებით და გარკვეულობით ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგი მოლოტოვი მეცნიერების კლასობრივ შინაარსს. ანვითარებს რა ლენინურ-სტალინურ თეზისს იმის შესახებ, რომ მეცნიერება და სკოლა შეუძლებელია იდგნენ პოლიტიკის გარეშე, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მეცნიერება და სკოლა გამსჭვალული არიან გაბატონებული კლასების მონოპოლიის ბურჟუაზიული კასტური სულისკვეთებით და გადაქცეული არიან ექსპლუატირებულებზე ბატონობის იარაღად.

მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში სკოლა, ისე როგორც მთელი მეცნიერება მთლიანად წარმოადგენს ყველა მშრომელთა საკუთრებას და ემსახურება მთელს სოციალისტურ საზოგადოებას, ხდება რა ჩაგვრის იარაღიდან, როგორიც ის იყო კაპიტალისტურ საზოგადოებაში, განთავისუფლებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად.

„საბჭოთა ხელისუფლების თვით პოლიტიკა, — ამბობს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე, — გამომდინარეობს განსაზღვრული მეცნიერული საფუძვლებიდან. ამაშია მისი პრინციპული მნიშვნელობა და მძლე ძალა საზოგადოებრივ განვითარებაში“. *)

სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის დაგეგმვის პირველ სრულიად-საკავშირო კონფერენციაზე ამხანაგი მოლოტოვი ამბობდა, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ვიწრო კარჩაკეტილობით შეუზღუდველი, ხუცური გავლენისაგან თავისუფალი მეცნიერებისა და ტექნიკის სრული და ყოველმხრივი განვითარება შესაძლოა მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში. სოციალისტური მშენებლობის საფუძველზე მის სწრაფ აღმავლობასთან ერთად იშლება განსაკუთრებით ხელსაყრელი შესაძლებლობანი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური კადრების ზრდისათვის, სსრ კავშირის ხალხთა მთელი კულტურის აღმავლობისათვის.

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე საბჭოთა კულტურის მუშაკებისაგან მოითხოვს გაბედულ ინიციატივას, ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ტექნიკის ზუსტ და კრიტიკულ შესწავლას. საჭიროა, ამბობს ის, ძალ-ღონის დაუზოგავად ვსწავლობდეთ კულტურულ მემკვიდრეობას. უნდა ვიცნობდეთ მას სერიოზულად და ღრმად. უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც მოგვცა კაცობრიობის წარსულმა ისტორიამ, და მრავალსაუკუნეთა მანძილზე ადამიანთა შრომით შექმნილი აგურებისაგან ვაშენოთ ახალი შენობა, გამოსადეგი ადამიანთა ცხოვრებისათვის, ვრცელი, სინათლითა და მზის სხივებით სავსე.

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე საბჭოთა მეცნიერების ყურადღებას ყოველთვის აპყრობს სოციალისტური მეურნეობის პრაქტიკასთან მეცნიერების კავშირის მნიშვნელობაზე, მეცნიერების პარტიულობაზე, იმაზე, რომ მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას საფუძვლად უნდა ჰქონდეს ბუნებისა და საზოგადოების სხვადასხვა მოვლენათა შემეცნების ლენინურ-სტალინური მეთოდი, რომელიც შეესაბამება თვით მეცნიერების განვითარების ნამდვილ ინტერესს.

„ვხელმძღვანელობთ რა მარქსისტულ-ლენინური მეთოდით, ჩვენ, ბოლშევიკები მივისწრაფით უზრუნველვყოთ დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გაბატონებული როლი მეცნიერების ყველა დარგში. ეს მეთოდი, როგორც ნამდვილად მეცნიერული მეთოდი, წარმოადგენს საუკეთესო იარაღს იმისათვის, რომ ჩვენი მზარდი მეცნიერულ-ტექნიკური კადრები დაეუფლონ მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევას. თანმიმდევრობითი ბრძოლა მეცნიერების ყველა დარგში ამ მეთოდის გაბატონებისათვის შეესაბამება თვით მეცნიერების განვითარების ნამდვილ ინტერესებს. ეს ბრძოლა ნიშნავს შეურიგებლობას იდეალისტური თეორიებისა და ყველა მათი აშკარა და ფარული რეაქციული დანამატების მიმართ. მხოლოდ ამ ბრძოლაშია შესაძლო მეცნიერულ-ტექნიკური მუშაკების მარქსისტულ-ლენინური კადრების აღზრდა“. *)

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე ჩვენს საბჭოთა მეცნიერებას უპირისპირებს ბურჟუაზიულს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება მთელი ძალღონით და საშუალებებით ცდილობს იყოლიოს ტექნიკური ინტელიგენცია პოლიტიკის გარეშე, მიაჯაჭვოს იგი კაპიტალიზმს ეტლს ბრმა რწმენით, მოსყიდვით, მატერიალური განებივრებით, ფიზიკური შრომის უგულებელყოფითა და სიძულვილით. ბურჟუაზია ცდილობს წაართვას ინტელიგენციას თანამედროვე კაპიტალიზმის რეაქციულობისა და სიდამპლის გაგების უნარი.

ინჟინრებსა და ტექნიკოსებს კაპიტალისტები მოქმედების შეზღუდულ დარგს უთმობენ დაწესებულებებსა და წარმოებებში, ცდილობენ რა დაუმორჩილონ ისინი ბურჟუაზიულ გავლენას.

სრულიად სხვა, პირდაპირ საწინააღმდეგო მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში. ბოლშევიკები ინჟინრებსა და ტექნიკოსებს აბამენ პოლიტიკაში, სოციალისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლობაში. ბოლშევიკები არ არიან დაეჭვებული იმაში, რომ რაც უფრო მაღალი იქნება პოლიტიკური შეგნება ინჟინერ-ტექნიკურ მასაში, რაც უფრო ღრმად შეითვისებს და გადახარშავს თავის შეგნებაში მთელი კაცობრიობის სოციალისტური მომავლისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის ფაქტებს, მით უფრო აქტიურად და ნაყოფიერად იმუშავებს იგი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას აძლევს რა მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას, ამხანაგი მოლოტოვი ბევრჯერ ამტკიცებდა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შთაგონებული, ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგული საბჭოთა ინტელიგენციის გარეშე შეუძლებელია კომუნიზმის შენება.

ისეთი მოძღვრების აუთვისებლად, როგორიც არის მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც აშუქებს ისტორიული განვითარების მთავარ გზას და ნათელჰყოფს თანამედროვე მოვლენათა მნიშვნელობას, შეუძლებელია იყო ჩვენი დროის მოვლენათა შეგნებული მონაწილე.

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოითხოვს სოციალისტური მშენებლობისათვის ძველი სპეციალისტების მიზიდვას და ამავე დროს განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს მშრომელთა წრიდან ახალი სპეციალისტების კადრთა მომზადებას. ის ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანას სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგისათვის სჭირდება კადრები, სოციალისტური ორგანიზატორების კადრები, რომლებიც სრულყოფილად იცნობენ თავის საქმეს, სისხლხორცეულად დაკავშირებული არიან მშრომელთა ფართო მასების ინტერესებთან.

ამხანაგ მოლოტოვის უშუალო ხელმძღვანელობით გადაჭრილ იქნა პარტიის წინაშე ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა, საბჭოთა ინტელიგენციის ახალი შესანიშნავი კადრების მომზადების ამოცანა. ურალზე, ციმბირში, შუა აზიაში შექმნილ იქნა ასობით ახალი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც მეცნიერებას მისაწვდომს ხდიან მშრომელთა ფართო მასებისათვის. 1939 წელს ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა სამრეწველო სასწავლებლებმა გამოუშვეს 40.000-ზე მეტი სპეციალისტი.

უმაღლესი სასწავლებლის მუშაკთა პირველ სრულიად-საკავშირო თათბირზე მოლოტოვმა, შეაჯამა რა უმაღლესი სკოლის განვითარებისათვის, საბჭოთა სპეციალისტების მრავალრიცხოვანი კადრების შექმნისათვის პარტიის ბრძოლის შედეგები, სთქვა, რომ უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაცია ძირითადად დამთავრებულია იმ მხრივ, რომ ისინი აგებული არიან სოციალიზმის მშენებელი სახელმწიფოს მოთხოვნილებათა შესაბამისად.

„...უმაღლესი განათლების მთელმა საქმემ უკვე მიიღო საბჭოთა კავშირის შესაფერისი გაქანება, — განაცხადა ვიაჩესლავ მიხეილის-ძემ, — და ჩვენ მოგვეპოვება ყოველივე, რაც კი საჭიროა უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისათვის, უმაღლესი განათლების აყვავებისათვის...

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, გლეხობას და ინტელიგენციას შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ ჩვენი უმაღლესი სკოლა განვითარების მაღალ დონეზე დგას, რომ მუშურ-გლეხური სახელმწიფო ისეთ მზრუნველობას იჩენს ამ საქმისადმი, როგორიც აღემატება პატივცემულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ძალღონეს“.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა მოლოტოვმა უმაღლესი სკოლის მუშაკების წინაშე, ჩვენი ქვეყნის მეცნიერული საზოგადოებრიობის წინაშე დააყენა ძირითადი, გადამწყვეტი ამოცანა — აამაღლონ უმაღლესი განათლების ხარისხი, განავითარონ მოწინავე საბჭოთა მეცნიერება, ტექნიკური აზროვნება. მან მიუთითა, რომ ჩვენს ინტელიგენციას ამ ისტორიულ საქმეში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ადგილი ეკუთვნის. „კულტურის ადამიანები, ტექნიკისა და მეცნიერების ადამიანები, ძველი და კვალიფიციური მუშათა კადრები, რომლებსაც ახალგაზრდობა ავსებს — ყველანი საჭირონი არიან საბჭოთა ხალხისათვის, რათა დასძლიოს ახალი დიადი ამოცანები, რათა განახორციელოს მორიგი ძირითადი ეკონომიური ამოცანა, რათა ძლევამოსილად განახორციელოს მესამე ხუთწლიანი გეგმა“.

საბჭოთა მეცნიერება გადაიქცა ნამდვილ მოწინავე მეცნიერებად. პაპანინელების, სედოველების გმირული ეპოპეები, ჩკალოვისა და გრომოვის მამაცური გადაფრენა ჩრდილოეთ პოლუსზე, პავლოვის, მიჩურინის, ლისენკოსა და ჩვენი ქვეყნის ათობით სხვა მეცნიერთა მეცნიერული ნაშრომები, ასობით უმაღლესი და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ საბჭოთა სპეციალისტების მრავალათასიან კადრებს, წარმოადგენენ ამის ნათელ ილუსტრაციას და დამტკიცებას.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის ორმოცდაათი წლის იუბილეს აღნიშნავს დღეს საბჭოთა სტუდენტობის, მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის ადამიანთა მრავალათასიანი კოლექტივი. საბჭოთა ინტელიგენცია ყველა მშრომელებთან ერთად უსურვებს თავის ხელმძღვანელს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, ჯანმრთელობას, ძალასა და ენერგიას შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის მთელი კაცობრიობის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

◆

---

*) მოხსენება სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის დაგეგმვის I სრულიად-საკავშირო კონფერენციაზე.

*) მოხსენება სამეცნიერო - საკვლევო მუშაობის დაგეგმვის I სრულიად-საკავშირო კონფერენციაზე.

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი

(მოკლე ბიოგრაფია)

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი (სკრიაბინი) დაიბადა 1890 წლის 9 მარტს ვიატკის გუბერნიის სლობოდა კუკარკაში (ამჟამად ქ. სოვეტსკი — კიროვის ოლქი), მოსამსახურის ოჯახში.

1902 წელს მოლოტოვი შედის ყაზანის 1-ლ რეალურ სასწავლებელში. უკვე 1905 წელს მიემხრო იგი რევოლუციურ მოძრაობას, მონაწილეობს წრეებში, ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ მიტინგებსა და დემონსტრაციებში. 1906 წელს მოლოტოვი შედის ქ. ყაზანის სოციალ-დემოკრატიულ (ბოლშევიკურ) ორგანიზაციაში. იგი ხდება მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციურად განწყობილი ნაწილის ერთიერთი მთავარი ორგანიზატორი. მოსწავლეთა რევოლუციური ორგანიზაცია ჰქმნის თავის საერთო-საქალაქო ხელმძღვანელ ცენტრს, რომელშიც შედის მოლოტოვი.

„1908-1912 წლები უძნელესი პერიოდი იყო რევოლუციური მუშაობისათვის. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რევოლუციური მოძრაობის დაცემისა და მასების დაღლილობის პირობებში ბოლშევიკებმა შესცვალეს თავიანთი ტაქტიკა და ცარიზმის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლიდან გადავიდნენ ამ ბრძოლის შემოვლითს გზებზე". („საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია". მოკლე კურსი, გვ. 175). რეაქციის მძიმე წლებში ამხ. მოლოტოვი სულ მცირედ ლეგალურ შესაძლებლობებსაც კი იყენებს რევოლუციურ ძალთა შესაკრებად, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალი შეტევის მოსამზადებლად.

მოსწავლეთა რევოლუციური ორგანიზაცია, რომლის ერთიერთი ხელმძღვანელი იყო ამხ. მოლოტოვი, არალეგალურ მარქსისტულ წრეებს ჰქმნის ყაზანის სასწავლებლებში, ხელმძღვანელობს მოსწავლეთა ოპოზიციურ გამოსვლებს ყაზარმული სასკოლო რეჟიმის წინააღმდეგ, აწყობს ფულად შეწირულებათა შეგროვებას და მატერიალურად ეხმარება საპყრობილეებში მოთავსებულ და გადასახლებულ რევოლუციონერებს, ხელს უწყობს ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელებას, საპროპაგანდო მუშაობას ეწევა მუშებს შორის.

1909 წლის აპრილში მოლოტოვს, მოსწავლეთა რევოლუციური ორგანიზაციის მთელ რიგ სხვა წევრებთან ერთად, აპატიმრებენ და იმავე წლის ივნისში ორი წლით ასახლებენ ვოლოგდის გუბერნიაში: ჯერ ტოტმაში და სოლვიჩეგოდსკში, შემდეგ კი ვოლოგდაში, სადაც იგი ექსტერნად აბარებს გამოსაშვებ გამოცდას რეალურ სასწავლებელში.

მოლოტოვი ვოლოგდაში, სადაც იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, აქტიურ არალეგალურ პარტიულ მუშაობას ეწევა რკინიგზელ მუშებს შორის, რომლებიც ქალაქში პროლეტართა მთავარ კადრებს შეადგენენ. ამხ. მოლოტოვი გამოდის მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვდნენ არალეგალური რევოლუციური პარტიის მოსპობას, ყოველგვარი არალეგალური ბრძოლის ლიკვიდაციას. ბოლშევიკებმა, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ულმობელი ბრძოლა გააჩაღეს ბურჟუაზიის ლაქიებთან, რომლებსაც მხარს უჭერდა იუდა ტროცკი. ქ. ვოლოგდის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც მოლოტოვმა შეჰქმნა, 1910-1911 წლებში აძლიერებს თავის საქმიანობას და მტკიცედ ატარებს ლენინურ ხაზს.

ამ წლებში მოლოტოვი დიდ ყურადღებას აქცევს მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების შესწავლას. ვოლოგდისა და ვიატკის ჟანდარმთა სამმართველოები თავიანთ საავენტურო ცნობებში აღნიშნავენ, რომ მოლოტოვი „გამოირჩევა ს.-დ. პროგრამისა და ლიტერატურის ცოდნით", რომ იგი „სერიოზული ორგანიზატორია".

1911 წლის ივნისში მოლოტოვი გადასახლების ვადას ამთავრებს, პეტერბურგს მოემგზავრება და პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შედის. აქ იგი დიდ მუშაობას ეწევა სტუდენტთა შორის ბოლშევიკური ჯგუფების დასარაზმავად. პეტერბურგის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ბოლშევიკური ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ სტუდენტთა ბოლშევიკური ორგანიზაციების საერთო-საქალაქო კომიტეტში. პეტერბურგის სტუდენტთა ბოლშევიკური ორგანიზაციები ჰქმნიან მთელ რიგ არალეგალურ წრეებს, ხელმძღვანელობენ სტუდენტობის რევოლუციურ გამოსვლებს ცარიზმის წინააღმდეგ, ავრცელებენ ბოლშევიკურ პროკლამაციებს და სხვ. სტუდენტთა ბოლშევიკური ორგანიზაციები განათლებულ პროპაგანდისტთა კადრებს აძლევენ პარტიას. მოლოტოვი მუშაობას ეწევა მუშათა რამდენიმე წრეში.

1912 წლის დასაწყისიდან ამხანაგი მოლოტოვი მუშაობს ბოლშევიკურ გაზეთ „ზვეზდაში", შემდეგ კი უახლოეს მონაწილეობას იღებს ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთის — „პრავდის" შექმნაში. „პრავდა" ბოლშევიკური პარტიის ხელში მძლავრი იარაღი იყო თავისი ორგანიზაციების განსამტკიცებლად და მასებში გავლენის მოსაპოვებლად. მოლოტოვი „პრავდის" რედაქციის შემადგენლობაში შედის და აქტიურად თანამშრომლობს ამ გაზეთში, ჰბეჭდავს თავის სტატიებს ხელმოუწერლად ან სხვადასხვა ფსევდონიმით: ა. რიაბინი. ვ. მიხაილოვი. ა. ზვანოვი. ამ დროიდან მოლოტოვი ხვდება ამხანაგ სტალინს „პრავდაში". როგორც რედაქციის მდივანს 1912 წელს და „პრავდის" ერთიერთ ხელმძღვანელს, მოლოტოვს მიწერ-მოწერა აქვს ბოლშევიკების საზღვარგარეთულ ცენტრთან და პირადად ვ. ი. ლენინთან. პოლიციის მხრივ დევნის მიუხედავად, რამაც იგი 1912 წლის დამლევს აიძულა არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო, მოლოტოვი დიდ მუშაობას ეწევა. იგი ბოლშევიკთა პეტერბურგის კომიტეტის წევრია. საპროპაგანდო მუშაობას ეწევა ვიბორგის რაიონში და ნიკოლოზის (ამჟამად ოქტომბრის) რკინიგზის მუშებს შორის, აგრეთვე ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში, ამხილებს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან შეთანხმების მომხრეების—მენშევიკების გამცემლურ პოზიციას. მოლოტოვი მონაწილეობას იღებს სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელობაშიც.

1913 წლის აპრილში მეფის ოხრანკის მიერ „სტუდენტთა გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის" ლიკვიდაციის დროს მოლოტოვს აპატიმრებენ და რამდენიმე თვის შემდეგ ასახლებენ პეტერბურგიდან, ამასთან უკრძალავენ მთელ რიგ დიდ ქალაქებსა და სამრეწველო გუბერნიებში (ეგრეთწოდებულ „64 პუნქტში") ცხოვრებას.

საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ მოლოტოვი დასახლდა პეტერბურგის მახლობლად. იგი განაგრძობს არალეგალურ პარტიულ მუშაობას პეტერბურგის ბოლშევიკთა ორგანიზაციასა და „პრავდაში".

ამავე პერიოდში მოლოტოვი აქტიურ მონაწილეობას იღებს პეტერბურგის პროფკავშირთა მუშაობაში, გამოდის მუშათა პროფკავშირულ კრებებზე, აშუქებს „პრავდაში" მათს საქმიანობას, ეხმარება ბოლშევიკ მოღვაწეებს პროფკავშირებში, აგრეთვე დახმარებას უწევს პროფკავშირული ჟურნალების გამოცემას. დაუღალავი ენერგიით იბრძვის მოლოტოვი იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას ლენინ-სტალინის დირექტივა პროფესიულ კავშირთა უმრავლესობის ბოლშევიკების მხარეზე გადაყვანის შესახებ. როგორც ვიცით, არალეგალური და ლეგალური მუშაობის შეხამებით ბოლშევიკებმა შესძლეს ამ ამოცანის შესრულება და მთელ რიგ ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანოების არჩევნებში.

1913 წლის დამლევს მოლოტოვს კვლავ აპატიმრებენ რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობისათვის, მაგრამ საკმაო მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო ათავისუფლებენ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. რადგან მოლოტოვს აუკრძალეს თვით პეტერბურგში ცხოვრება, იგი კვლავ დასახლდა პეტერბურგის ახლოს და განაგრძობს რევოლუციურ მოღვაწეობას მუშებს შორის, თანამშრომლობს „პრავდაში" და მეორე ბოლშევიკურ ორგანოში — ჟურნალ „პროსვეშჩენიეში".

1914 წლის მაისში მოლოტოვს კვლავ აპატიმრებენ და მალე ასახლებენ, უკრძალავენ რა დედაქალაქში და მრავალ სხვა ქალაქსა და გუბერნიაში (ეგრეთწოდებულ „45 პუნქტში") ცხოვრებას.

იმპერიალისტური ომის დასაწყისში მოლოტოვი პეტერბურგში იმყოფება. მას თანმიმდევრული ლენინური პოზიცია უკავია ომის საკითხში. იგი ამხილებს ამ ომის მტაცებლურ, იმპერიალისტურ ხასიათს, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს შოვინისტურ განწყობილებებთან მუშათა ორგანიზაციის რიგებში.

მალე მოლოტოვი გადადის მოსკოვს, სადაც აჩაღებს მუშაობას მეფის ოხრანკის მიერ ომის დასაწყისში დარბეული მოსკოვის ბოლშევიკური ორგანიზაციის აღსადგენად. იგი გულდასმით უყრის თავს მოსკოვის ბოლშევიკთა დაქსაქსულ ძალებს და აწყობს პარტიული რიგების გაწმენდას მრავალ პროვოკატორ-ჯაშუშისაგან. მან შესძლო რამდენიმე აქტიური ბოლშევიკური ჯგუფის მოწყობა მოსკოვის სხვადასხვა რაიონში. ძირითად მუშაობას მოლოტოვი ეწევა ლეფორტის, სიმონოვისა და პრესნის რაიონთა მუშებს შორის, ხელმძღვანელობას უწევს რა პარტიული ორგანიზაციების შექმნას მოსკოვის ქარხნებსა და ფაბრიკებში, ცარიზმისა და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მიმართული ბოლშევიკური ლიტერატურის გამოშვებას და გავრცელებას.

1915 წლის გაზაფხულზე მომზადებულ იქნა ბოლშევიკთა მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციის მოწვევა, მაგრამ ორგანიზაციაში შეპარულ პროვოკატორთა დაბეზღებით მოლოტოვი ივნისში დააპატიმრეს და იმავე წლის სექტემბერში სამი წლით გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში (სოფელ მანზურკაში).

1916 წლის მაისში მოლოტოვი გამოიქცა ციმბირიდან და ჩავიდა პეტროგრადს, სადაც შეუდგა არალეგალურ მუშაობას. 1916 წლის შემოდგომაზე მოლოტოვი ბოლშევიკური პარტიის საზღვარგარეთ მყოფი ცენტრალური კომიტეტის მითითებით კოოპტირებულ იქნა ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროში და სათავეში ჩაუდგა ამ ბიუროს. ცენტრალური კომიტეტის ბიურო ამხ. მოლოტოვის მეთაურობით ამ პერიოდში ახორციელებს ბოლშევიკური პარტიის პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელობას. ბოლშევიკთა ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და პეტერბურგის კომიტეტის მიერ გამოცემული მთელი რიგი საბრძოლო პროკლამაციები, რომლებიც მიეძღვნა ომსა და მუშათა მოძრაობის საარსებო ამოცანებს, გამოიცა მოლოტოვის უახლოესი მონაწილეობით. ამ პერიოდში მოლოტოვი თანამშრომლობს აგრეთვე ერთადერთ ლეგალურ ბოლშევიკურ ჟურნალში „ვოპროსი სტრახოვანია". ამ ჟურნალის გამოსვლა ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, როგორც დიდი მოვლენა. მიესალმებოდა რა ჟურნალის გამოსვლას, ამხანაგი სტალინი შორეული გადასახლებიდან სწერდა, რომ ახალი ბოლშევიკური ორგანოს ამოცანაა „ყოველი ღონე იხმაროს და ყოველნაირად ეცადოს, რათა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი იდეურად დაზღვეულ იქნას ბ-ნ პოტრესოვების, ლევიცკებისა და პლეხანოვების ქადაგებისაგან, რომელიც უაღრესად გამარწყვნილია, ანტიპროლეტარულია და სრულიად ეწინააღმდეგება საერთაშორისობის პრინციპებს".

მოლოტოვი უშუალო მონაწილეობას იღებს იმ რევოლუციური მოძრაობის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობაში, რომელმაც მოამზადა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს და შემდეგ პეტროგრადში მთელი შემდგომი მუშაობის განმავლობაში მოლოტოვი არის რსდმპ პეტროგრადის კომიტეტის წევრი. როგორც ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენელი იგი შედის პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მისი დაარსების დღიდან, უახლოეს მონაწილეობას იღებს ჯარისკაცთა სექციის შექმნაში, პეტროგრადის საბჭოს გარდაქმნაში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოდ, მონაწილეობას ღებს საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის მუშაობაში.

მოლოტოვი ხელმძღვანელობდა „პრავდის" აღდგენასა და გამოშვებას და გადასახლებიდან სტალინის დაბრუნებამდე „პრავდის" ერთიერთი მთავარი რედაქტორი იყო, მოლოტოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე პარტიის აპრილის კონფერენციისა და VI ყრილობის მუშაობაში, იგი იყო პეტროგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთიერთი. ხელმძღვანელი.

პარტიის VI ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინისა და სტალინის შემდეგ მოლოტოვი მიგვითითებდა, რომ „ძალაუფლების მიღება მხოლოდ ძალით შეგვიძლია". „მხოლოდ პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობას სურთ თავიანთ ხელში აიღონ ძალაუფლება, მათ ეს შეუძლიათ გააკეთონ და გააკეთებენ კიდევაც იმ უმრავლესობის ინტერესებისათვის, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან".

ჩვენ,—ამბობდა ამხ. მოლოტოვი, — „საქმით უნდა ვუჩვენოთ, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა".

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების დროს და ამ რევოლუციის დღეებში მოლოტოვი ერთიერთი ხელმძღვანელი იყო ბოლშევიკებისა, რომლებიც ლენინისა და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ პეტროგრადში. როგორც ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის წარმომადგენელი, იგი შედიოდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში, რომელიც ოქტომბრის დღეებში აჯანყებას ხელმძღვანელობდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მოლოტოვი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ერთიერთი ხელმძღვანელი იყო.

1918 წლის დამდეგს პარტიამ მოლოტოვი წამოაყენა ჩრდილოეთის ოლქის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ; ამ ოლქში მაშინ შედიოდა ჩრდილოეთის 7 გუბერნია, მათ შორის პეტროგრადისა. პეტროგრადში და მთელს ჩრდილოეთის ოლქში მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაცია და მოეწყო მუშათა კონტროლი წარმოებაზე. ამ მუშაობის პროცესში პეტროგრადის ქარხნების მუშები ეუფლებიან წარმოების მმართველობის რთულ ტექნიკას და თავიანთი წრიდან პირველად იძლევიან სოციალისტური მეურნეობის მშენებელთა ხელმძღვანელ კადრებს. სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის პირველი პრაქტიკული გამოცდილება შეჯამებულ იქნა ბროშურით „როგორ აშენებენ მუშები სოციალისტურ მეურნეობას", რომელიც 1918 წლის დამლევს გამოვიდა.

1919 წლის ზაფხულში მოლოტოვი დაინიშნა პარტიისა და მთავრობის რწმუნებულად ვოლგისპირა მხარეში. მან დაევალა უმოკლეს ვადაში შექმნა და განემტკიცებინა საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები იმ რაიონებში, რომლებიც წითელმა არმიამ ჩეხოსლოვაკთა და კოლჩაკის ჯარებისაგან გაათავისუფლა. სხვადასხვა სახკომატების ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად მოლოტოვმა რამდენიმე თვის განმავლობაში მოიარა ვოლგისპირა და კამისპირა ქალაქები (ნ. ნოვგოროდი, ჩებოქსარი, ყაზანი, ჩისტოპოლი, იჟევსკი, პერმი, სიმბირსკი, სამარა, სარატოვი და სხვ.) და აგრეთვე ვოლგისა და კამის მრავალი სოფელი და დაბა. ამხ. მოლოტოვის ხელმძღვანელობით ვოლგისპირა მხარის პარტიული და საბჭოთა აპარატი განმტკიცდა.

1919 წლის დამლევიდან მოლოტოვი ნიჟნი-ნოვგოროდის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეა, 1920 წლის სექტემბერში კი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ იგზავნება დონბასში, სადაც დონეცის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად ირჩევენ. რ. კ. პ. (ბ) IX სრულიად-რუსეთის ყრილობაზე მოლოტოვს ირჩევენ რ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრობის კანდიდატად. 1920 წლის ნოემბერში მას ირჩევენ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად და მდივნად. 1920-21 წლებში მოლოტოვი მტკიცედ ატარებს ლენინურ ხაზს პროფკავშირულ დისკუსიაში ყველა ოპოზიციურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ—ტროცკისტებისა და ბუხარინელების წინააღმდეგ, „მუშათა ოპოზიციისა" და დეცისტების (ეგრეთწოდებული „დემოკრატიული ცენტრალიზმის" ჯგუფი) წინააღმდეგ.

პარტიის X ყრილობაზე, 1921 წლის მარტში, როცა პარტია ლენინის ხელმძღვანელობით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადადიოდა, მოლოტოვს ირჩევენ რ. კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მოლოტოვის მთელი მუშაობა მიმდინარეობს ლენინთან და სტალინთან ყოველდღიური უშუალო ურთიერთობის პირობებში, მათი ხელმძღვანელობით.

ამ დროიდან ვ. მ. მოლოტოვი მოსკოვში მუშაობს, იგი მონაწილეობს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელ ხელმძღვანელ მუშაობაში, განუხრელად იცავს ლენინურ ხაზს ბრძოლაში, რომელსაც პარტია ეწეოდა ტროცკიზმის და სხვა წვრილბურჟუაზიული ჯგუფებისა და მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

1926 წლის იანვრიდან, პარტიის XIV ყრილობის შემდეგ, მოლოტოვი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრია. 1927 წელს მოლოტოვი სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის წევრია, ხოლო 1929 წლის არის სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი.

მოლოტოვს განსაკუთრებული როლი ეკუთვნის პარტიის გენერალური ხაზისათვის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში. ამხილებდა რა ტროცკისტ-ზინოვიეველთა ანტიპარტიული ბლოკის იდეებს, მოლოტოვი აღნიშნავდა, რომ ოპოზიციის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანია მისი ურწმუნობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობისადმი. იგი ულმობლად აშკარავებდა იმპერიალიზმის ტროცკისტ-ზინოვიეველი აგენტების ცდებს ჩაეშალათ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, პარტიისათვის თავს მოეხვიათ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიერ სსრ კავშირის ეკონომიური დამონების გეგმა.

ანვითარებს რა ამხანაგ სტალინის აზრს, მოლოტოვი სოციალისტური მრეწველობის წინაშე ამოცანად სახავს „გახდეს სოფლის მეურნეობის განვითარების აქტიური და ნამდვილად მძლავრი მამოძრავებელი, შეჰქმნას სულ უფრო-და-უფრო მეტი პირობები უმაღლესი ტექნიკის, კოლექტიური შრომისა და მსხვილი წარმოების საფუძველზე მისი გარდაქმნისათვის".

მთელი ჩვენი საგარეო და საშინაო ვითარება, — ამბობდა ამხ. მოლოტოვი, — მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპის თანმიმდევრულ გატარებას. სწორედ ეს არის, — ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. მოლოტოვი, — მთელი სახალხო მეურნეობის დაწყებული რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი პირობა.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, ამხანაგი მოლოტოვი განსაკუთრებული ენერგიითა და პრინციპულობით იბრძვის სოციალიზმის მშენებლობაში საბჭოთა გლეხობის ჩაბმის ლენინურ-სტალინური გეგმის განხორციელებისათვის. თავის გამოსვლაში მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე 1928 წლის 30 ნოემბერს ამხ. მოლოტოვი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე, კოლმეურნეობათა შექმნის საფუძველზე შეიძლება „უზრუნველყოფილ იქნას ძირეული გარდატეხა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა ზრდაში, სოფლის მშრომელი მასების მდგომარეობის გაუმჯობესებაში და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის სურსათისა და ნედლეულის ნამდვილად მტკიცე ბაზის შექმნაში".

სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში საუკეთესო დადასტურებაა ამხ. მოლოტოვის ამ დებულებათა სისწორისა, რომლებიც სტალინის მითითებებიდან გამომდინარეობდნენ. ამხ. მოლოტოვის დამსახურებას სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს.

1928 წლის შუა ხანებში, იმ პერიოდში, როცა პარტიამ ბრძოლა გააჩაღა მემარჯვენეების წინააღმდეგ, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობასთან შეთავსებით არჩეულ იქნა ამხ. მოლოტოვი. იცავს რა პარტიის გენერალურ ხაზს, ამხ. მოლოტოვი გამანადგურებელ ლახვარს სცემს ტროცკისტ-ბუხარინელ მახინჯებს. იგი გადაჭრით გამოდის აგრეთვე დამპალი ლიბერალიზმისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ. „ლენინიზმი, რომელიც ჩვენი პარტიის იდეურ საფუძველს წარმოადგენს, ნიშნავს შეურიგებელ ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრასთან და ამასთანავე შეურიგებელ ბრძოლას ამ გადახრის ობივატელურ-უპრინციპო შემწყნარებლობას (შემარიგებლობის) წინააღმდეგ". (ვ. მ. მოლოტოვი, მოხსენება მოსკოვის პარტაქტივზე 1928 წ. 30 ნოემბერს).

1930 წლის 19 დეკემბრიდან ვ. მ. მოლოტოვი მუშაობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე.

გამოვიდა რა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1930 წლის დეკემბრის გაერთიანებულ პლენუმზე, ვ. მ. მოლოტოვმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ მისი დანიშვნის გამო, სთქვა:

„ახლა, ჩემი ახალი დანიშვნის გამო, არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არა ვთქვა ჩემს თავზე, ჩემს მუშაობაზე.

მე ვიზრდებოდი ბოლშევიკურ პარტიაში და მრავალი წლის განუწყვეტელი მუშაობით ვარ დაკავშირებული მასთან. მე, როგორც კომუნისტს, არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს უფრო დიდი სურვილი, ვიდრე ის, რომ საქმით ვიყო ლენინის მოწაფე. მე დიდხანს არ მომიხდა ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობა, მაგრამ ჩემთვის, როგორც კომუნისტისათვის, მთავარი ამოცანა მუდამ იყო და ახლაც არის — შევითვისო მარქს-ლენინის მოძღვრება და აქტიური მონაწილეობა მივიღო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განხორციელების საქმეში. უკანასკნელი წლების განმავლობაში მე, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანს, მომიხდა ბოლშევიკური მუშაობის სკოლის გავლა ლენინის საუკეთესო მოწაფის უშუალო ხელმძღვანელობით, ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. მე ვამაყობ ამით.

დღემდე მე უმთავრესად მიხდებოდა მუშაობა, როგორც პარტიულ მუშაკს. გიცხადებთ, ამხანაგებო, რომ სახკომსაბჭოში სამუშაოდაც მე მივდივარ როგორც პარტიული მუშაკი, როგორც პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ნებასურვილის გამტარებელი".

ვ. მ. მოლოტოვი დაუღალავად მოუწოდებს პარტიას ბოლშევიკური გამჭრიახობისა და სიფხიზლის გაძლიერებისაკენ. იგი გამუდმებით მოაგონებს საბჭოთა ხალხს, რომ კაპიტალისტურ გარემოცვაში ყოფნისას „უდარდელობის გამოჩენა ნიშნავს თავისი უპირველესი მოვალეობის დავიწყებას ხალხის წინაშე, მშრომელთა წინაშე". საჭიროა, აღნიშნავს ამხ. მოლოტოვი, განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა, რათა მუდამ მზად ვიყოთ იმისათვის, რომ გამანადგურებელი დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას.

ჩვენი ქვეყნის სტალინურმა ინდუსტრიალიზაციამ, რომელიც ამხ. მოლოტოვის უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდება, უზრუნველჰყო წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესანიშნავი ტექნიკური აღჭურვა. მოლოტოვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წითელი არმიისა და ფლოტის კადრებს. სსრ კავშირის ცაკის II სესიაზე, რომელიც 1936 წლის იანვარში მიმდინარეობდა, ამხ. მოლოტოვმა ამოცანად დასახა, „რათა ჩვენი არმია შესდგებოდეს ერთგულ და თავისი საქმის ბოლომდე მცოდნე მეომრების — მფრინავებისა, არტილერისტებისა, ქიმიკოსებისა, ტანკისტებისა და მსროლელთაგან და იარაღის ყველა სხვა საჭირო სახეობის მეომრებისაგან", და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „კიდევ უფრო განვამტკიცოთ და ავამაღლოთ ჩვენი არმიის ხელმძღვანელი კადრების მნიშვნელობა".

1939 წელს მოლოტოვი შეთავსებით ინიშნება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

უაღრესად რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში, ისეთ პირობებში, როცა მეორე იმპერიალისტური ომი მსოფლიოს სისხლისღვრად იქცევა, მოლოტოვი ახორციელებს მშვიდობიანობის სტალინურ პოლიტიკას და ამხანაგ სტალინის მითითებათა რეალიზაციის საფუძველზე უდიდეს წარმატებებს აღწევს სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების ხაზით. სავაჭრო - საკრედიტო შეთანხმება გერმანიასა და სსრ კავშირს შორის, თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, ხელშეკრულება მეგობრობისა და საზღვრის შესახებ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის, სამეურნეო შეთანხმება გერმანიასთან — ყველა ეს არის ის საგარეო პოლიტიკური აქტები, რომლებმაც შეჰქმნეს მეგობრული ურთიერთობა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის, გააცამტვერეს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა ცდები, რომ საბჭოთა კავშირი ომში ჩაებათ მათი ინტერესებისათვის. ლატვიასთან, ესტონეთთან და ლიტვასთან დადებულია ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები. დემოკრატიული ფინეთის სახალხო მთავრობასთან დადებული ურთიერთდახმარების პაქტის საფუძველზე ისპობა ომის უაღრესად საშიშარი კერა, რომელიც ფინეთის თეთრგვარდიელობამ შეჰქმნა ლენინგრადის მისადგომთან. საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე ყოფნის მოკლე ხნის განმავლობაში ამხ. მოლოტოვმა შესძლო გადაეწყვიტა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მთელი რიგი საკითხები, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

მოლოტოვის გამოსვლები, მოხსენებანი და სტატიები ამდიდრებენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას; ისინი თავიანთი მახვილით მიმართული არიან ყველა და ყოველგვარ ანტილენინურ მიმდინარეობათა და გადახრათა წინააღმდეგ.

1921-1930 წლების განმავლობაში მოლოტოვი, როგორც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, განაგებდა პარტიული მშენებლობისა და პარტიული კადრების შერჩევის საკითხებს. ამ თემებზე გამოქვეყნდა მისი შემდეგი ნაშრომები: „პარტიული პრაქტიკის საკითხები" (ბროშურა), „პარტია და ლენინური გაწვევა" (ბროშურა), XI, XIII და XIV პარტიულ ყრილობებზე გაკეთებული მოხსენებანი ორგანიზაციულ საკითხებზე და სხვ.

კოლექტივიზაციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში მოლოტოვი სახელმძღვანელო მოხსენებებით გამოდიოდა პარტიულ ყრილობებსა, კონფერენციებსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმებზე სოფლად პარტიის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ამ თემაზე ჩვენს ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნებულია მისი მთელი რიგი სტატიები, ვ. მ. მოლოტოვის მიერ ამ საკითხებზე დაწერილ ნაშრომებში უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: სტატიებისა და სიტყვების კრებული, „პარტიის პოლიტიკა სოფლად", XV პარტიულ ყრილობაზე გაკეთებული მოხსენება „სოფლად მუშაობის შესახებ".

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საკითხები, პირველი, მეორე და მესამე ხუთწლედი, საბჭოთა მშენებლობა და საბჭოთა კონსტიტუცია, ნაციონალური საკითხი და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და, ბოლოს, საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები—ყველა ეს ის თემებია, რომელთაც მოლოტოვი დიდ ყურადღებას უთმობს თავის სტატიებსა და გამოსვლებში. ამხ. მოლოტოვის გამოცემულ ნაწარმოებთა შორის არის: „სოციალიზმისათვის ბრძოლაში" — სტატიებისა და მოხსენებათა კრებული, „სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა" — სიტყვათა კრებული, „სტატიები და სიტყვები" (1935-1936 წ.), „ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის", „ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავი", „ოქტომბრის რევოლუციის 22 წლისთავი", „უმაღლესი სკოლის შესახებ" და მთელი რიგი გამოსვლები სსრ კავშირის საშინაო და საგარეო საკითხებზე.

მთელი საბჭოთა ხალხი ღრმა პატივისცემითა და უსაზღვრო მადლიერებით აღნიშნავს ვიაჩესლავ მიხეილის-ძის ნაყოფიერ მოღვაწეობას. ამხანაგ მოლოტოვისადმი თავიანთი სიყვარული სსრ კავშირის ხალხებმა იმით გამოხატეს, რომ იგი ერთსულოვნად აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატად. საბჭოთა კავშირის მშრომელები მხურვალე სალამსა და მილოცვებს უძღვნიან ერთგულ ლენინელ-სტალინელს ვიაჩესლავ მიხეილის-ძეს მისი დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულებასთან დაკავშირებით.

კიდევ მრავალ წელს სცოცხლობდეს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი**—დიდი **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი!



ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი. „პრავდის" რედაქციაში 1917 წ.

მხატვარ ვასილიევის ნახატი

ვ. მ. მოლოტოვის დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

კიევი, 7 მარტი (საკდესი). უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ გახსნა ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

მრავალი ისტორიული დოკუმენტით, ხელნაწერთა ფოტოპირებით ნაჩვენებია მამაცი ბოლშევიკის, ლენინ-სტალინის ტიპის სახელმწიფო მოღვაწის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ცხოვრება და მოღვაწეობა.

პირველი სტენდები ასახავენ ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის რევოლუციური მუშაობის დასაწყისს 1905-დან 1912 წლამდე. აქ თავმოყრილია მასალა მისი პირველი დაპატიმრებისა და ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლების შესახებ, 1911-12 წლებში პეტერბურგის მუშებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის ბოლშევიკური კადრების დასარაზმავად წარმოებული მუშაობის შესახებ. კრებული „ბოლშევისტსკაია პრავდა", გამოცემული „პრავდის" პირველი ნომრის გამოსვლის 25 წლისთავისათვის, გვიჩვენებს, თუ რა უდიდეს ორგანიზაციულ და სალიტერატურო მუშაობას ეწეოდა „პრავდაში" ერთიერთი მისი შემქმნელი — რედაქციის მდივანი ვ. მ. მოლოტოვი. ექსპონირებულია ფოტოპირები ამხანაგ მოლოტოვის მთელი რიგი სტატიებისა, რომლებიც მოთავსებული იყო „პრავდაში" 1912 წელს.

დიდად საინტერესოა დოკუმენტები ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ 1912-დან 1917 წლამდე, ამხანაგ სტალინთან მისი პირველი შეხვედრის შესახებ. დოკუმენტები მოგვითხრობენ მრავალგზის დაპატიმრების, გადასახლების, გადასახლებიდან გაქცევის და ბოლოს პეტერბურგში საბრძოლო პარტიულ პოსტზე დაბრუნების შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და ამ რევოლუციის დღეებში 1917 წელს ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი მუშაობს ლენინისა და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. ერთიერთ სტენდზე გამოფენილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ დაწერილი მოწმობის ფოტოპირი, სადაც ვკითხულობთ: „ამის წარმომდგენი არის ჩემი პირადი ნაცნობი, ძველი პარტიული მუშაკი ამხ. მოლოტოვი, სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასკომის რწმუნებული სალიტერატურო-საინსტრუქტორო გემზე „კრასნაია ზვეზდაზე".

ამ გემით მოგზაურობის დროს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა 1919 წელს უდიდესი მუშაობა ჩაატარა მშრომელი მასების დასარაზმავად თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ამხანაგ მოლოტოვის მოღვაწეობას უკრაინაში, სადაც იგი მუშაობდა 1920 და 1921 წლებში ჯერ უკრაინის კ. პ. (ბ) დონეცის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად, ხოლო შემდეგ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად. არის მრავალი ფოტოპირი ამხანაგ მოლოტოვის წერილებისა, რომლებიც უკრაინის პრესაში იყო მოთავსებული.

ორ დიდ სტენდზე თავმოყრილია ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ნაწერები, მისი მოხსენებანი, სიტყვები.

სსრ კავშირისა და საკავშირო რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების პერიოდის მასალები გვიჩვენებენ საბჭოთა ხალხის სიყვარულს თავიანთი მთავრობის მეთაურისადმი.

გამოფენა მთავრდება მასალებით, რომლებიც ასახავენ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის მოღვაწეობას.

დასავლეთის ფრონტზე

ბერლინი, 6 მარტი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ გერმანელთა რაზმმა ენერგიული საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მიიტანა მტრის ერთერთ საგუშაგოს წინააღმდეგ მაჟინოს ხაზზე. „მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე 20-დე მოკლული დასტოვა. ერთი ფელდფებელი და 15 ინგლისელი ჯარისკაცი ტყვედ იქნა წამოყვანილი".

O

ბერლინი, 7 მარტი. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის დღევანდელ ცნობაში აღნიშნულია, რომ 5 მარტს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა გერმანიის ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპიროს მოაღწიეს. ინგლისის ერთმა თვითმფრინავმა გადაუარა დანიის ტერიტორიას კუნძულ ზილდის ჩრდილოეთით.

„პერლის რაიონში გერმანიის საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოგერიებულ იქნა მტრის მრავალრიცხოვანი მზვერავი რაზმის გამოლაშქრება; ეს რაზმი ცდილობდა გაჭრილიყო გერმანიის პოზიციებისაკენ. ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსთან სადაზვერვო ფრენის დროს გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ინგლისის რამოდენიმე გემზე".

O

პარიზი, 7 მარტი. ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გუშინ ფრონტზე „მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა. ღამით მოზელის აღმოსავლეთით მოგერიებულ იქნა მტრის იერიში".

O

ბრიუსელი, 7 მარტი. ფრანგულ გაზეთ „ჟურნალის" დღევანდელ სამხედრო მიმოხილვაში აღნიშნულია: „მოზელის აღმოსავლეთით მოხდა გერმანელთა და ინგლისის საექსპედიციო კორპუსის საგუშაგოთა პირველი შეხვედრა. ინგლისელებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს. ორი კაცი მოკლულია, რამდენიმე დაჭრილია და რამდენიმე ტყვედ არის წაყვანილი. გერმანელებს მოუკლეს ერთი კაცი.

ვოგეზების დასავლეთით გერმანიის რამდენიმე პატრული ცდილობდა გამოლაშქრებას, მაგრამ ჩვენმა მზვერავებმა ისინი უკუაგდეს".

(საკდესი).

ომი ზღვაზე

ლონდონი, 6 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, კვირის განმავლობაში, რაც 3 მარტს დამთავრდა, ჩაძირულია მოკავშირეთა 3 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 7.277 ტონას უდრის, და ნეიტრალური ქვეყნების 5 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 13.954 ტონას შეადგენს.

რეიტერის სააგენტოს სიტყვით, ომის პირველი ექვსი თვის მანძილზე გერმანელთა დანაკლისი ზღვაში შეადგენს 47 გემს, რომელთა საერთო წყალწყვა 248 ათას ტონას უდრის.

ინგლისის ჯარის მოტორიზებული ნაწილების ჩასვლა კენიაში

ლონდონი, 6 მარტი (საკდესი). გაზეთები „ტაიმსი" და „დეილი ჰერალდი" იუწყებიან, რომ ინგლისის ჯარის 6 მოტომექანიზებულმა რაზმმა მოახდინა ჩრდილოეთ როდეზიიდან ნაირობში (კენია) გადასვლა; მან გაიარა 2.000 მილი. ამ რაზმებს თან მიჰქონდათ მთელი საჭირო მარაგი, საომარი და საწვავი მასალა. ინგლისის ჯარის კონცენტრაცია კენიაში ამჟამად დამთავრებულია. იქ იმყოფება აფრიკის ყველა იმ აღმოსავლეთი და ცენტრალური ტერიტორიიდან ჩამოსული ჯარი, რომლებიც ინგლისს ეკუთვნის.

ინგლისის მშრომელთა სოლიდარობა ფრანგ მუშებთან

ლონდონი, 6 მარტი (საკდესი). საფრანგეთის ხელისუფლების მიერ მუშათა კლასის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობა უდიდეს აღშფოთებას იწვევს ინგლისის მშრომელთა შორის. დაახლოებით 80-მა ორგანიზაციამ, მათ შორის ლონდონის ხუთმა რაიონულმა პროფსაბჭომ, ტრედიუნიონების 9 ნაციონალურმა საბჭომ, 7 ლეიბორისტულმა და 49 ძირეულმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, რომლებშიც 750 ათასი წევრი ითვლება, გამოიტანა საპროტესტო რეზოლუცია საფრანგეთის პროლეტარიატის საარსებო დონესა და უფლებებზე საფრანგეთის ხელისუფალთა გალაშქრების წინააღმდეგ. ინგლისის ყველა ინდუსტრიულ ცენტრში იქმნება საფრანგეთის მუშათა კლასთან სოლიდარობის კომიტეტი.

ინგლისის საოკეანო გემის „კუინ ელიზაბეტის" პირველი ტრანსატლანტიკური რეისი

ლონდონი, 7 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს ცნობას ინგლისის საოკეანო ახალი გემის „კუინ ელიზაბეტის" პირველი ტრანსატლანტიკური რეისის შესახებ ინგლისიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. რეისი ჩატარდა ისე, რომ გემზე მგზავრები არ ყოფილა, სასტიკი საიდუმლოებით და ინგლისის სამხედრო გემების ძლიერი რაზმის თანხლებით. დღეს დილით „კუინ ელიზაბეტი" ნიუ-იორკს ჩავიდა.

შესაძლოა, სწერს ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი", რომ ინგლისის ხელისუფლებამ გადაწყვიტა გაგზავნოს „კუინ ელიზაბეტი" ამერიკის ნავსადგურში დასადგომად, შიშობს რა, რომ გემს ყუმბარები არ დაუშინოს გერმანიის ავიაციამ. როგორც ცნობილია, ნიუ-იორკის ნავსადგურში ომის გამოცხადებიდან დგანან: ინგლისის მეორე უზარმაზარი გემი „კუინ მერი" და საფრანგეთის უძლიერესი საოკეანო გემი „ნორმანდია". „კუინ მერის" ნიუ-იორკის ნავსადგურში დგომა სანაოსნო კომპანიას ყოველთვიურად ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი უჯდება.

გემი „კუინ ელიზაბეტი" არის უდიდესი და ყველაზე უფრო სწრაფმავალი საოკეანო გემი მსოფლიოში. გემის აგება თითქმის ოთხ წელს გაგრძელდა და 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა. მისი წყალწყვაა 85.000 ტონა და გემს შეუძლია 31,5-32,5 კვანძი სიჩქარე განავითაროს საათში.

გემის სიგრძეა 1032 ფუტი, 14 ფუტით მეტი, ვიდრე „კუინ მერი". გემს შეუძლია წაიყვანოს 2.400 მგზავრი.

საომარი მოქმედება ჩინეთში

სამხრეთ ჩინეთში

გუანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, ნანინის ფრონტის მთავარ უბანზე, ნანინ-ბინიანის გზატკეცილზე, იაპონიის ჯარი ჩინეთის ჯარის ნაწილების შეტევის შედეგად, ნელნელა იხევს ნანინისაკენ. სანტანის (15 კილომეტრზე ნანინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით) ჩრდილოეთით მდებარე რაიონში სავსებით გაწმენდილია იაპონელებისაგან.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ჯუნშანიდან (კანტონის სამხრეთით), იაპონელთა დესანტი, რომელიც მაკაოს რაიონში გადასხდა, გუშინ წინწაწევას განაგრძობდა გუანდუნის პროვინციის შუაგულისაკენ. იაპონელთა ერთმა კოლონამ ორი მნიშვნელოვანი პუნქტი დაიკავა 8 კილომეტრზე მაკაოს ჩრდილოეთით. მეორე კოლონა შიცის უახლოვდება. ამავე დროს იუწყებიან, რომ იაპონელები თავს უყრიან დიდ ძალებს ჯუნშანის რაიონში.

ცენტრალურ ჩინეთში

როგორც გაზეთი „შენჯოუჟიბაო" იუწყება, ჰეძიანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში იაპონიის ჯარის კონტრშეტევა, რომელიც მან დაიწყო ჩინელთა პოზიციებზე ჯენხაიში, სრული დამარცხებით დამთავრდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ იაპონელთა სარდლობა ცდილობდა ამ რაიონში ავანგარდად გამოეყენებინა მარიონეტულ ხელისუფალთა ჯარი, მაგრამ მათ უარი თქვეს ჩინელთა წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ ფაქტით გაბოროტებულმა იაპონელებმა ტყვიამფრქვევები დაუშინეს მარიონეტულ ხელისუფალთა ჯარს. ამ უკანასკნელმა მიიღო საპასუხო ღონისძიებანი. იმ დროს, როცა იაპონიის ჯარსა და მარიონეტულ ხელისუფალთა ჯარს შორის სროლა სწარმოებდა, ჩინელებმა ფლანგიდან მიიტანეს იერიში იაპონელებზე და მთელი რაიონი გასწმინდეს მათგან.

ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩინეთისა და იაპონიის ჯარებს შორის ბრძოლა გრძელდება. დატუნ-პუჯოუს რკინიგზის დასავლეთით და აღმოსავლეთით ჩინეთის ჯარმა მოიგერია იაპონელთა ყველა იერიში და ახლა გააძლიერა შეტევა მოწინააღმდეგეზე.

7 მარტი. (საკდესი).

თურქი ხალხის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა

ანკარა, 7 მარტი (საკდესი). 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც თურქეთის მთავრობამ დაამტკიცა, ახალი დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მიერ დაწყებული ომი მძიმე ტვირთად აწევა თურქ ხალხს.

ახალი ბიუჯეტი შედგენილია 262.312 ათასი ლირის რაოდენობით, რაც 1 მილიონზე მეტით აღემატება შარშანდელ ბიუჯეტს. აქედან ომის საჭიროებისათვის მთავრობას გადადებული აქვს 150 მილიონი ლირა.

წლევანდელი ბიუჯეტი ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს თურქეთის ეკონომიური მდგომარეობის გამწვავებას. საბაჟო შემოსავალი გასულ წელთან შედარებით 40 მილიონი ლირით შემცირდა. შემოსავალში ასეთი დიდი ხარვეზის ანაზღაურებლად მთავრობამ გაადიდა საშემოსავლო გადასახადები, სავაჭრო ოპერაციების გამოსაღები და, ბოლოს, გაადიდა მოხმარების საგნებისა და სპირტიანი სასმელების ფასი. მაგალითად, შაქრის ფასი 5 მარტიდან გადიდებულია 30 პროცენტით.

პრესას არ ძალუძს დაჰფაროს ქვეყნის დაძაბული ფინანსიური მდგომარეობა. გაზეთ „ულუსის" რედაქტორი ატაი სწერს, რომ შემოსავლის შემცირება უშუალოდ უნდა აანაზღაუროს თურქმა ხალხმა. ავტორი მოუწოდებს იმისაკენ, რომ ახალი მსხვერპლი გაიღონ, „რათა გარანტირებული იქნას მომავალი". აბიდინ დავერი გაზეთ „იკლამში" გადასახადის შემტანთ მოუწოდებს შეჰკვეცონ თავიანთი მოთხოვნილებანი.

საიტო გარიცხეს მინსეიტოს პარტიიდან

ტოკიო, 7 მარტი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ, დილით, მინსეიტოს პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება პარტიის რიგებიდან საიტოს გარიცხვის შესახებ, საიტოს მიერ გამოთქმული სურვილის შესაბამისად. პარტიის გენერალურმა მდივანმა უციგასაკი საკუსაბურომ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება საიტოს გარიცხვის შესახებ „დაკავშირებულია მძიმე მდგომარეობასთან", რაც „ნაციონალური ორგანიზაციის გაძლიერებას" მოითხოვს.

მდგომარეობა მექსიკაში

ნიუ-იორკი, 7 მარტი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, რომ მექსიკის პრეზიდენტს კარდენასს განზრახული აქვს საგანგებო წესები შემოიღოს სახელმწიფოში, რათა ნავთის სარეწაოთა 16.000 მუშა საომარ პირობებში ჩააყენოს. ამან ხელი უნდა შეუწყოს კარდენასის პროგრამის განხორციელებას ნავთის მრეწველობის რეორგანიზაციის დარგში. ამავე დროს განზრახულია ხელფასის შემცირება, აგრეთვე მუშების მასობრივად დათხოვნა. ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ გადაჭრით, ილაშქრებს ნავთის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი.

ამერიკის შეერთებული შტატები და მექსიკა

ნიუ-იორკი, 7 მარტი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, მექსიკოში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მექსიკოში კასტილიო, რათა მთავრობას ეთათბიროს უცხოელთა ნავთის კომპანიების საკუთრების კონფისკაციის შედეგების საკითხზე. კასტილიომ განაცხადა: იმედი მაქვს შეთანხმებას მივაღწევ ამერიკულ კომპანიებთან, რომელთა საკუთრების კონფისკაციაც მოახდინა მექსიკის მთავრობამ. კასტილიოს სიტყვით სხვა კომპანიებთან მოლაპარაკება ჯერჯერობით არ სწარმოებს.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მექსიკის ფინანსთა მინისტრის განცხადებით, მექსიკის ნავთის მრეწველობას 1939 წელს 4 მილიონი დოლარი დეფიციტი ჰქონდა.

გლეხთა მიწის დაბრუნება მემამულეებისათვის ესპანეთში

ნიუ-იორკი, 7 მარტი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება მადრიდიდან, ესპანეთის მთავრობა სპეციალური დეკრეტით მემამულეებს უბრუნებს იმ მიწებს, რომლებიც რესპუბლიკურმა მთავრობამ ჩამოართვა მათ და გადასცა გლეხებს. დეკრეტის თანახმად, გლეხებს შეუძლიათ დარჩნენ ამ მიწაზე როგორც მოიჯარადრენი იმ პირობით, თუ ისინი მემამულეებს სათანადო კომპენსაციას მისცემენ.

კომპარტიის დევნა კანადაში

ნიუ-იორკი, 7 მარტი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ვინიპეგში (მანიტობის პროვინცია) პოლიცია თავს დაესხა კომპარტიის სადგომებს და დიდძალი ხალხი დააპატიმრა. პოლიციამ ხელთ იგდო სხვადასხვა დოკუმენტი, აგრეთვე კომუნისტურ გაზეთ „მიდუესტ კლერიონის" ეგზემპლარები. სააგენტო აღნიშნავს, რომ დაპატიმრებულთ, ალბათ, ბრალდებათ წაუყენებენ „კანადის თავდაცვის წესების" დარღვევას.

უელესი პარიზს ჩავიდა

პარიზი, 7 მარტი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, დღეს დილით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე უელესი პარიზს ჩავიდა. სალამოს იგი მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტმა ლებრენმა, შემდეგ პრემიერ-მინისტრმა დალადიემ.

საზღვარგარეთ

თვითმფრინავებისა და საავიაციო ნაწილების ექსპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან იანვარში 25,5 მილიონ დოლარს აღწევს, რაც 10 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე 1939 წლის დეკემბერში. ექსპორტი საფრანგეთში უდრის 12 მილიონ დოლარს, ინგლისში—4 მილიონ დოლარს.

O

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გემების რაზმი ერთი კრეისერისა და ორი ნაღმოსნის შემადგენლობით ესპანეთის ნავსადგურებში 10 დღის დგომის შემდეგ ატლანტის ოკეანეში გავიდა.

O

იტალიის დენთის ქარხანაში ქალ. ბრეშში მოხდა აფეთქება, რომლის შედეგად მოკლულია 30 კაცი და დაჭრილია მრავალი.

O

1939 წელს შობადობა ნიუ-იორკში უდრიდა 13,5-ს 1000 მცხოვრებზე, ნაცვლად 35,7-სა 1900 წელს. განვლილი 39 წლის მანძილზე ნიუ-იორკის მოსახლეობა 3446 ათასიდან 7.500 ათას კაცამდე გაიზარდა. შობადობა შემცირდა აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატების მრავალ სხვა დიდ ქალაქში, კერძოდ, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ლოს-ანჟელოსში, ფილადელფიაში, ბოსტონსა და კლივლენდში.

O

ჰონკონგში გარდაიცვალა აკადემიის პრეზიდენტი 75 წლის ცაი იუან-პეი, რომელსაც ამავე დროს ეკავა ჩინეთის მთავრობის სახელმწიფო მრჩევლის პოსტი და გომინდანის ერთერთი უძველესი მოღვაწე იყო.

„ბოგდან ხმელნიცკი" რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში. სურათზე (მარცხნიდან): ფ. ქანტურია — ზოსიას როლში, რესპ. სახალხო არტისტი, ორდენოსანი გ. დავითაშვილი — ბოგდან ხმელნიცკის როლში, რესპ. დამსახ. არტისტი, ორდენოსანი დ. მჟავია—ლიზოგუბის როლში.

„ბოგდან ხმელნიცკი" რუსთაველის თეატრში

ორდენოსანი დრამატურგის **ა. კორნეიჩუკის** პიესამ „ბოგდან ხმელნიცკიმ" ხალხთა სტალინურ ოჯახში თეატრალური საზოგადოებრიობის საერთო ინტერესი გამოიწვია. მოკლე ხანში იგი დაიდგა საბჭოთა კავშირის მოწინავე თეატრებში. რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში ამ პიესის პრემიერა ჭეშმარიტად ხალხთა დიდი სტალინური მეგობრობის დემონსტრაციად იქცა.

საბჭოთა თეატრი, რომელსაც ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საპატიო ამოცანა დაუსახა ამ პიესის დადგმით, რასაკვირველია, დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის საქმეს აკეთებს. მოძმე ხალხის შესანიშნავ ისტორიასთან დუხჭირი წარსულით და სოციალისტური აწმყოთი დაკავშირებული თეატრი რამოდენიმე საათში აძლევს მასობრივ მაყურებელს იმ ცოდნას, რასაც მრავალ წიგნში ამოკითხვა დასჭირდებოდა.

„ბოგდან ხმელნიცკი" გადმოგვცემს უკრაინის შორეული წარსულის ყველაზე დაძაბულ პერიოდს, როცა თავისუფლების მოყვარული ხალხი აღსდგა პოლონელი პანების სისხლიანი ბატონობის წინააღმდეგ და თავისი სახალხო გმირის — ჰეტმან ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა პოლონელ ინტერვენტებს ყვითელი წყლების მიდამოებში, გაანადგურა მტრის რიცხობრივად გაცილებით უფრო ძლიერი ჯარი, ტყვედ იგდო პოლონელი შეფის მიერ ჰეტმანად ხელდასმული პანი პატოცკი და კისრიდან მოიშორა ხანგრძლივი დამამცირებელი მონობის მძიმე უღელი.

ა. კორნეიჩუკის პიესაში გაცოცხლებულია უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა და ის გარემოცვა, რამაც უკარნახა ბ. ხმელნიცკის თავისი ბედი მშრომელი მასების ნება-სურვილით დაეკავშირებინა რუსეთის მოძმე ხალხთან. როგორც ცნობილია, პიერიკა „ბოგდან ხმელნიცკი" ავტორს ტრილოგიად აქვს მოფიქრებული. ის, რაც თეატრებმა გვიჩვენეს, ამ ტრილოგიის პირველი ნაწილია. იგი გაჟღენთილია გმირულ-რომანტიკული სულით, რომელიც მშობლიური და გასაგებია ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხთათვის, რომლებმაც დიდი განსაცდელით მოკირწყლული ისტორიული გზა განვლეს და, ბოლოს, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის დროშის ქვეშ ბედნიერი და საამური ცხოვრება დაიმკვიდრეს.

თავის პიესაში დრამატურგი გვაცნობს მშობლიური ხალხისათვის თავდადებულ გმირებს — ხმელნიცკის, კრივონოსს, ბოგუნს და სხვ, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ასახავს თვით მასას; მისი ტიპების გალერეაში ვხვდებით საუცხოო სახეებს. ესენი არიან ტური, ბარბალე, სალომია, შაითანი, დიაკონი გავრილო და სხვები. მათ გვერდით დრამატურგი დამაჯერებელი საღებავებით ხატავს ხალხის საზიზღარ მოღალატეებს, მტრისგან მოსყიდულ ადამიანებს, რომლებიც ხელს უშლიან სამშობლოს განთავისუფლების საქმეს.

ა. კორნეიჩუკის პიესა არ არის თავისუფალი ზოგიერთი ნაკლოვანებებისაგან. მასში სუსტად არის მოხაზული ცენტრალური გმირის ხასიათიც კი. მაყურებელმა არა იცის რა მისი წარსულის შესახებ და ვერც განიცდის შვილის დაკარგვას გამო მასში გამოწვეულ სულიერ ტანჯვას, მაგრამ პიესის ძირითადი იდეა, სახელდობრ ის, რომ მტრის ვერავითარი ღალატი და ვერაგობა ვერ აჩერებს ხალხის სწრაფვას თავისუფლებისაკენ, პიესაში კარგად არის გადაწყვეტილი. მასში სჩქეფს ჯანსაღი პატრიოტიზმის გრძნობა, რომელიც აღაგზნებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, ხალხთა სტალინური მეგობრობის დასაცავად გარეშე მტრებისა და მათი ბინძური აგენტურისაგან.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის კოლექტივმა ამ დრამატურგიულ მასალაზე შექმნა მაღალი მხატვრული მნიშვნელობის სპექტაკლი, რომელშიაც დიდი პათოსით არის მოთხრობილი უკრაინის ხალხის ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის.

სპექტაკლის გამარჯვებას დიდად უწყობს ხელს პიესის შესანიშნავი თარგმანი, შესრულებული ჩვენი ორდენოსანი დრამატურგის **შალვა დადიანის** მიერ.

დამდგმელს — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ორდენოსან **აკ. ვასაძეს** მისთვის ჩვეული ოსტატობით აქვს გახსნილი პიესის დედააზრი და მომქმედი პირების სცენიური სახეები. გულმოდგინე რეჟისორული მუშაობის დაღი აზის დადგმის ყოველ დეტალს. პირველივე მოქმედებიდან სპექტაკლი დინამიურად იშლება. ეს ტემპი ოთხივე მოქმედების გასწვრივ არ ნელდება და სულ უფრო და უფრო იპყრობს მაყურებელს. დამდგმელის დიდი ოსტატობა გამოსჭვივის მასობრივ სცენებში, რომლებიც სანახაობას სიცოცხლეს და ხალისს მატებენ. რეჟისორს მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩაუტარებია ტექსტზე. თუმცა ამით შინაარსი არ დაზიანებულა, მაგრამ მაინც დასანანებელია ის, რომ მისგან გამორიცხულია მტრის ბანაკში დიაკვან გავრილოს გამოჩენის დამახასიათებელი სცენა.

მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ორდენოსანი **ირ. გამრეკელი** ჩასწვდომია რეჟისორის მხატვრულ გააზრებას და სათანადო მხატვრული საშუალებებით აუსახავს პიესის შინაარსი ისტორიული სიმართლისა და ნაციონალური კოლორიტის დაცვით. განსაკუთრებით კარგად არის გადმოცემული სცენა დნეპრის ნაპირას და ბანაკი.

სპექტაკლის მუსიკა ეკუთვნის ახალგაზრდა ნიჭიერ კომპოზიტორს **რ. გაბიჩვაძეს.** მას უხვად გამოუყენებია უკრაინული ხალხური მელოდიები. კარგად დაუმუშავებია საგუნდო სიმღერები და სწორად გაუხსნია მუსიკაში პიესისათვის დამახასიათებელი პათოსი.

სპექტაკლის ავტორებმა მსახიობ-შემსრულებლებთან ერთად შექმნეს ნამდვილად ამაღელვებელი სპექტაკლი, რომელიც დიდხანს შერჩება თეატრის რეპერტუარს.

ბოგდან ხმელნიცკის როლს ასრულებს რესპ. სახ. არტისტი ორდენოსანი **გ. დავითაშვილი.** სახალხო გმირის სწორი სცენიური განსახიერებისათვის გ. დავითაშვილი არაფერს იშურებს. განსახიერებულ გმირს ის დიდ დამაჯერებლობას აძლევს. ამ გმირის სახეზე სიმშვიდეა აღბეჭდილი. მსახიობს აუღელვებლად მიჰყავს როლი, მაგრამ ვაჟკაცური ტონი ყოველთვის ერთნაირად არ ბგერს მთელ სპექტაკლში.

მაქსიმ კრივონოსის მხატვრულად დამაჯერებელი სცენიური სახე შექმნა მსახიობმა **მ. ჩიხლაძემ.** მისი ხმა მძლავრია. მასთან მოძრაობაც კარგად აქვს შეხამებული. ხედავთ მას კრივონოსს და გჯერათ, რომ ასეთ ადამიანს მართლაც შეუძლია შიშის ზარი დასცეს მტერს.

ორდენოსანმა **გ. სალარაძემ** ბოგუნის მომხიბლველი სახე შექმნა. მთელი როლი მან თბილ ლირიულ ტონებში ჩაატარა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გმირის ხასიათს პიესაში ბევრი რამ აკლია, გ. სალარაძე თავისი შესრულებით მაყურებლის ყურადღების ცენტრში რჩება. მოძრაობაში ის მოსაწონ ზომიერებას იჩენს, მეტყველებაში — კეთილშობილებას და გულწრფელობას. ეს ორი თვისება კი საკმარისია იმისათვის, რომ მსახიობმა სრულყოფილი სცენიური სახე მოგვცეს.

რესპუბლიკის დამს. მსახიობმა ორდენოსანმა **დ. მჟავიამ** მხატვრული სიმართლით გახსნა მოღალატე ლიზოგუბის ბუნება. თავისი აქტიორული ოსტატობა მან განსაკუთრებით გამოავლინა მესამე და მეოთხე მოქმედებაში, როცა ვერაგობის ფართო ქსელი გაბა და გაიხსნა. ლიზოგუბის ვერაგობის შედეგად ბოგუნს ასამართლებენ. ყველა მსაჯული ცალცალკე აცხადებს თანხმობას მოღალატის სიკვდილით დასჯაზე. ლიზოგუბი—მჟავიაც იმეორებს „თანახმა ვარ" და მაყურებელს ჟრუანტელი უვლის ტანში. დ. მჟავია ლიზოგუბის როლში შესანიშნავია.

ახალგაზრდა მებრძოლი ქალის სალომეას ცოცხალი და დასამახსოვრებელი სახე მოგვცა **ნ. ლაფაჩმა.** მის თამაშში ბუნებრივობა, სიმართლე და გულწრფელობა გამოსჭვივის. განსაკუთრებით კარგად ჩაატარა მსახიობმა სცენა ბოგუნთან მესამე აქტში.

დაუვიწყარი სცენიური სახეები შექმნეს აგრეთვე **ფ. ქანტურიამ** (ზოსია) და რესპ. დამს. არტისტმა **ნ. დავითაშვილმა** (ბარბალე). პირველმა მოხდენილად გახსნა ვერაგული მიზნით შემოპარული მტრის აგენტის, ხოლო მეორემ—თავგანწირული მშრომელი ქალის,—დედის ბუნება.

დიაკვან გავრილოს როლში ვნახეთ რესპუბლიკის დამს. არტისტი, ორდენოსანი **ემ. აფხაიძე.** ის ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ჩასწვდომია ავტორის მიერ გააზრებულ ტიპს. გავრილო უკრაინის რენესანსის წარმომადგენელია მდაბალი ფენიდან, რომელმაც ერთბაშად ლაღაწია თავი ეკლესიურ სქოლასტიკას და ამ ქვეყნიური „ცოდვილ" ცხოვრებას დაუბრუნდა. ასეთ პორტრეტს მსახიობი ჯერ კიდევ ვერ ჰქმნის, ცხადია, მას დასჭირდება შემდგომი სერიოზული მუშაობა ამ როლზე.

მხატვრული დამაჯერებლობით ანსახიერებენ თავიანთ როლებს მსახიობები: ორდენოსანი **სტ. ჯაფარიძე** (ოპანასი), **ბ. წულაძე** (ჩერნოტა), **დ. ხუციშვილი** (ტურ), **ალ. აფხაიძე** (კუნცა), **გ. სარჩიმელიძე** (შაიტან), **ალ. კუპრაშვილი** (კოჯობა). ყველა ისინი თავის როლებში საინტერესო სცენიურ სახეებს ჰქმნიან. დანარჩენი მსახიობები ხელს უწყობენ საერთო ანსამბლს.

იმ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობასთან ერთად, რომელიც სპექტაკლს „ბოგდან ხმელნიცკის" აქვს ორი მოძმე ხალხის შემდგომი კულტურული დაახლოებისათვის, იგი რუსთაველის თეატრის დიდ მხატვრულ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

ბ. აბულაძე

ბაქოს კონსერვატორიის დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა

6 მარტს თბილისში ჩამოვიდა ბაქოს კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა დელეგაცია, დელეგატებს შორის არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი კომპოზიტორი, ბაქოს სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორი უ. აჯიბეკოვი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი პროფ. ბიულ-ბიული, პროფესორები: ს. ბეროლსკი, გ. შაროევი, ს. ბრეტანიცკი, დოც. მ. ბრენერი, რ. კარვე და სხვ.

გუშინ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში მოხდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა საზეიმო შეხვედრა სტუმრებთან.

შეხვედრა [illegible] ა. კორნეიჩუკთან

8 მარტს, საღამოს 7 საათზე „კომუნისტის" რედაქციის მიწვევით კომბინატის კლუბში შესდგა ორდენოსან დრამატურგის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **ა. კორნეიჩუკის** შეხვედრა თბილისის სტახანოველებთან, ჟურნალისტებთან, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებთან.

მეგობრული საუბრის დროს ამხ. ა. კორნეიჩუკმა ილაპარაკა იმ მტკიცე კავშირზე, რომელიც მუდამ ჰქონდათ საქართველოს და უკრაინის საუკეთესო პროგრესიულ წარმომადგენლებს. ჯერ კიდევ ორასიოდე წლის წინათ გამოჩენილი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც უკრაინის ქალაქ მირგოროდში ცხოვრობდა, უყვებოდა უკრაინელ გლეხებს საქართველოს ამბებს და უკრაინელ მოღვაწეს სკოვოროდას უკითხავდა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანს". დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს გადახდაში უკრაინამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო და ასევე მხურვალე მონაწილეობას მიიღებს აკაკი წერეთლის იუბილეს გადახდაში, ისე როგორც დიდი სიყვარულით აღნიშნა ქართველმა ხალხმა უკრაინის საყვარელი შვილის ტარას შევჩენკოს იუბილე.

ამხ. ა. კორნეიჩუკმა შემდეგ ილაპარაკა თავისი პიესის „ბოგდან ხმელნიცკის" დადგმის შესახებ რუსთაველის თეატრში. მან აღნიშნა, რომ უკრაინის და ქართველი ხალხის ისტორიული წარსული ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, დრამატურგი მაინც ღელავდა პრემიერის ჩვენებისას: მივა თუ არა ქართველ მაყურებლამდე უკრაინელი სახალხო გმირების სახეები. რუსთაველის თეატრმა, ამხ. ა. კორნეიჩუკის სიტყვით, ისეთი მაღალი ხელოვნებით დადგა „ბოგდან ხმელნიცკი", ისე სწორად გახსნა პიესა, რომ თბილისის მაყურებელმა დიდი აღფრთოვანებით მიიღო იგი.

შემდეგ ამხ. ა. კორნეიჩუკმა ილაპარაკა თავის შემოქმედებით მუშაობაზე, გეგმებზე. მან ახლახან დაამთავრა პიესა საკოლმეურნეო თემაზე „ელიტა". ამისათვის დრამატურგი გაეცნო სოფელს, კოლმეურნეობას.

ამხ. ა. კორნეიჩუკმა დამსწრეთა თხოვნით ილაპარაკა დასავლეთ უკრაინის განთავისუფლების შესახებ და იმ დიდ აღფრთოვანებაზე, რომლითაც დასავლეთ უკრაინის მშრომელმა ხალხმა მიიღო წითელი არმია, იმ დიდ კულტურულ და ტექნიკურ შეიარაღებაზე, რომელიც გამოავლინა წითელმა არმიამ დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

საუბრის შემდეგ ამხ. ა. კორნეიჩუკმა პასუხი გასცა დამსწრეთა შეკითხვებზე. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ბ. ჟღენტი და გ. ლეონიძე. ამხ. ბ. ჟღენტმა დაახასიათა ა. კორნეიჩუკი, როგორც დრამატურგი. ამხ. გ. ლეონიძის განცხადებას, რომ უკრაინელი მწერლების ინიციატივით მირგოროდში დაიდგმება დ. გურამიშვილის ძეგლი, დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა. უკრაინელმა პოეტმა ლიუბომირ დიმიტერკომ წაიკითხა საკუთარი ლექსი. სიტყვით გამოვიდა საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. კანდელაკი.

შეხვედრის დასასრულს დამსწრეთა სახელით ამხ. ბ. აბულაძემ მადლობა გადაუხადა ამხ. ა. კორნეიჩუკს. შეხვედრა დასრულდა მქუხარე ტაშითა და შეძახილებით უკრაინისა და საქართველოს სტალინური მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** პატივსაცემად.

შესწორება

„კომუნისტის" გუშინდელი ნომრის მეორე გვერდზე მოთავსებულ „პრავდის" მოწინავეში — „თავმდაბლობა ამშვენებს ბოლშევიკს" — მესამე სვეტის მე-2 აბზაცის პირველი სამი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „სამწუხაროდ, ჩვენში კიდევ არ გამოლეულან სხვა ყაიდის ადამიანები" და შემდეგ როგორც ტექსტშია.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „გამანადგურებელნი", **ოქტომბერი** — „გამანადგურებელნი", **დამკვრელი** — „მიგდებული ბავშვი", **ლუქსემბურგის სახ.** — „მიგდებული ბავშვი", **კომკავშირელი** — „სედოველები", **სპარტაკი** — „მთავრობის წევრი", **კომინტერნი** — „პირადი საქმე", **26 კომ. სახ.** — „ახალი დროება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

9 მარტს	10 მარტს	11 მარტს
მუდმ. ადგ. ტალ. № 135 1 აბ. 10 წარმ. **აბესალომ და ეთერი**	მუდმ. ადგ. ტალ. № 136 3 აბ. 10 წარმ. **ტრუბადური** უკრაინის სსრ დამსახურებული მსახიობის ხ. ნ. დანჩენკოს მონაწილეობით.	**ტოსკა** უკრაინის სსრ დამსახურებული მსახიობის ხ. ნ. დანჩენკოს მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 8 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი.

9 მარტს	10 მარტს	11 მარტს
მუდმ. ადგ. ტალონი № 130 **ბოგდან ხმელნიცკი**	მუდმ. ადგ. ტალ. № 131 **ბოგდან ხმელნიცკი**	მუდმ. ადგ. ტალ. № 132 **გუშინდელნი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.

9 მარტს	10 მარტს	11 მარტს
მადამ სან-ჟენ	**ჩაკეტილი ხიდი**	**მადამ სან-ჟენ**

დასაწყისი დილით 12 საათზე, საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი, პლეხანოვის, 182

9 მარტს	10 მარტს	11 მარტს
ხაჯარათი	**ნავერის თვალი** (მასკოტა)	**სკაპენის ოინები**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

სახ. ცირკი, ტელ. 3-11-44 | 9—10 მარტს
საცირკო სანახაობა
მონაწილეობენ საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები
რსფსრ სახალხო არტისტი, ორდენოსანი ბორის ედერი
ლომების ახალი ჯგუფით.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
სალარო ღიაა დღის 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

ი. წიკლაური, შ. ჩხუბიანაშვილი, ი. ლუდუშაური, ვ. მზარეულა, ბუხნიკაშვილი, ცაგურია თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. საშა კოჩლავაშვილს მისი ბავშვის
ვაჟიკოს
გარდაცვალების გამო.

ვადა და ნინო დევაძეები შვილით ლალით იუწყებიან საშა კოჩლავაშვილის და მარგო თომაძის საყვარელი შვილის
ვაჟას
გარდაცვალებას. 5557

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტები იუწყებიან ამავე კურსის სტუდენტ ნინო კერვალიშვილის დის
თამარის
გარდაცვალებას.

მეუღლე ფატი, შვილები ნოე, აფრასიონ, თალიკო ქმრით, რძლები თამარ, შურა, შვილიშვილები ლეილა, ეთერა ზამბახიძეები იუწყებიან
გიგოლო ანტონის-ძე ზამბახიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. განახლებაში (ჩოხატაურის რ.). 5563

შვილები ნუნუ, თინა, სიმონიკა, ვალიკო, კიკო, ჩიტო, სიძეები ნიკოლოზ ბეჟუაშვილი, ვასიკო ყიფიანი, რძლები ვერა, ვალია იუწყებიან
სალომე თაყაიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/III მახარაძეში. 5561

საფოსტო სამმართველოს ხაშურის განყოფილების თანამშრომლები: ა. ღვინიაშვილი, შ. ბერია, თ. თომაძე, ს. ნოზაძე, ს. ბახტაძე, თ. გოგატიშვილი, ქ. თურმანიძე, მ. სიხარულიძე და ო. კველიშვილი იუწყებიან
ციხანა ივანეს-ასულ ლეკიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/III.

ვ. საყვარელიძე, ა. კახაძე, ო. სულტაშიანი, რ. ზაუტაშვილი, ა. სხილაძე, დ. გეოხელიძე, მ. კუპრაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მარგო თომაძეს და ალექსანდრე კოჩლავაშვილს მათი საყვარელი შვილის
ვაჟიკოს
გარდაცვალების გამო.

ღრმად დამწუხრებული ბებია მარიამ, მამიდა თამარ, ბიძა გრიშა იუწყებიან საყვარელ
ვაჟიკოს
დაკარგვას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 10/III, 4 ს. სასამართლოს ქ. № 35.

შვილები სამსონ, აკაკი, დუშა, ქსენია, ვერა, რძლები ლოლა, ოლია, შვილიშვილები კლარა, ლიანა იუწყებიან საყვარელ
პახუმ ფირცხალავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/III ს. კურძუში (გეგეჭკორის რ.). 5558

სიძე გაიოზ, და ოლია, დისწული პატარა ნანი იმედაშვილები იუწყებიან დაუვიწყარ
თამარ კერვალიშვილის
გარდაცვალებას. 5560

ელ. აგლაძე, გ. სიხარულიძე, შ. ლომბერიძე, ვ. ცერცვაძე, შ. ბერიძე იუწყებიან მარგო თომაძის შვილის
პატარა ვაჟას
გარდაცვალებას. 5557

მეუღლე ნინო, შვილები ლილი, ჯემალი იუწყებიან საყვარელ
არჩილ გიორგის-ძე ელისაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ართვინის, 6. 5562

საქ. ქიმსარეწკავშირის პრეზიდიუმი იუწყება პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გიორგი აბრამიშვილის დედის
მარიამ სიდამონის-ასულ აბრამიშვილის
გარდაცვალებას. 5547

ბაშკირეთის სახჯიშე სანაშენო მეურნეობის დირექცია და სპეციალისტები იუწყებიან ძვირფასი ამხანაგის მთავარ აგრონომის მერის მეუღლის
ლევან ალექსის-ძე ლოლუას
გარდაცვალებას. 5549

ქმარი სიმონ მშობლებით, შვილი კობა; გიორგი, ელიკო, ვარა რუსიაშვილები; მშობლები, ძმა კუპრაშვილები, სოსო, თამარ ხვთისიაშვილები იუწყებიან
ელო რუსიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ყვარელში 9/III. 5550

შვილი დავით, რძალი ნინო, შვილიშვილები გური, ტასია, დოდო ქმრით ვანო პირადაშვილით, რიმა, ნანი, კოტიკა სულაბერიძეები იუწყებიან
ალათი სულაბერიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 9/III 5 ს. არაგვის, 1. 5551

დედა კესა, მეუღლე ლენა, ძმები გრიშა, მიშა, დები მარო, ვერიჩკა, შაშიკო, სიძე კასიანე ნიკოლაიშვილი იუწყებიან
სერგო გაბრიელის-ძე ხავთასის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/III ს. დვაბზუში (მახარაძის რ.). 5552

მეუღლე სანდრო, შვილები ეკატერინე, ვასო, მანო, რძალი ქეთო ოსეფაშვილები, სიძე ევგენი ხადური ცოლშვილით იუწყებიან
მარიამ (მაშო) ოსეფაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/III 6 ს. დაკრძალვა 10/III 5 ს. ქ. გორში, ბერიას, 34. 5553

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83 ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული № 1462